ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

15 მარტიდან!

„ახალი თაობა“+

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




პარასკევი, 29 მარტი, 2013 | №74 (6075) | ფასი: 30 თეთრი

# დავით უსუფაშვილი: „კიდევ ბევრ შოკისმომგვრელ მიმოწერას ვნახავთ“

„არაფერი ვიცოდი არც ამ მიმოწერის შესახებ და არც სხვა ბევრ მიმოწერაზე, რომელთა შესახებ, ალბათ, ნელ-ნელა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. სამწუხაროდ, სხვა არაერთ შოკისმომგვრელ მიმოწერას ვნახავთ“.

გვ.3



## არჩილ კბილაშვილი: „ყველას დავკითხავ!“



„პროკურატურაში რამდენიმე ადამიანი შეიცვალა, ამის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ არასამთავრობო სექტორს. ასევე პასუხები გავეცი მათ ცალკეულ შეკითხვებს, ვიმსჯელეთ პოლიტპატიმრების ბრალდებებზეც."

გვ.4

## „7 აპრილს საქართველოში იელოვას მოწმეების საერთაშორისო შეკრება ჩატარდება“

— გვ. 3 —

## კახა კალაძე: „დენი 0.5 თეთრით შემცირდა“



გვ.6

გაიზარდა თუ არა მინისტრების ხელფასი

## გიორგი მარგველაშვილს გრიგოლ ვაშაძის განცხადებები კომიკურად ეჩვენება

გვ.6




## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი ნაციონალების გადასარჩენად, ყველა დარტყმას თავის თავზე იღებს“



გვ.2

## ჯაშუშობაში მსჯავრდებულ ფოტოგრაფებს პირობითი მსჯავრი და ნასამართლობა მოეხსნათ

გვ.3



## ლაურა ლაჭავა ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობისთვის დააჯარიმეს



ერეკლე და გიორგი კოდუების დედის, ლაურა ლაჭავას კომპანია – შპს „პროფით დევიზი,“ ყაზტრანსგაზმა, ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო 30 311 ლარით დააჯარიმა.

ამის შესახებ ინფორმაცია, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სტუმრობის შემდეგ გახდა ცნობილი, სადაც მინისტრი თბილისში, გაზის არაკეთილსინდისიერი მომხმარებლების სტატისტიკას გაეცნო.

სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, კომპანიამ კომერციულ სექტორში ექვსი არაკეთილსინდისიერი მომხმარებელი გამოავლინა, რომლებიც გაზგამანაწილებელი ქსელიდან ბუნებრივ აირს მრიცხველის გვერდით ავლით მოიხმარდნენ და ამ ქმედებით კომპანიას ჯამში 32 125 ლარის ზარალი მიაყენეს.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „პროფით დევიზის“ დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი სწორედ ლაურა ლაჭავაა.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 საიას თანამშრომელი ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის დააჯარიმეს

5 ნინო ბურჯანაძე: „საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ზედმეტი აჟიოტაჟი იყო ატეხილი“

3 შინაგან საქმეთა სამინისტრო ბათუმში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შიდა მოკვლევას იწყებს

5 შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის

# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი ნაციონალების გადასარჩენად, ყველა დარტყმას თავის თავზე იღებს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, მოდით, სასამართლოების შესახებ კანონპროექტით დავიწყოთ, რომელზეც ჯერჯერობით ვერ მოხერხდა შეთანხმება უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. როგორია თქვენი შეფასებები, როგორც ყოფილი მოსამართლისა?***

— ჩვენ ვხედავთ ცალსახად, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლება ხელში აიღეს დემოკრატიულმა ძალებმა და ამით ტირანია დავამარცხეთ. თუმცა ტირანიამ გარკვეული პოზიციები შეინარჩუნა გარკვეულ სახელმწიფო სტრუქტურებში. ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ეს არის სასამართლო ხელისუფლება, ე.წ. სამაშველო, გიორგაძის სამსახური, რომელიც რეალურად ზონდერბრიგადებით არის დაკომპლექტებული. ამ სტრუქტურებში ისინი თავიანთ მომხრეებს ასაქმებენ, უზარმაზარ ფულს უხდიან, იმიტომ რომ ფული ბლომად აქვთ ნაღლეტი და ნაყვლეფი საქართველოს მოსახლეობისაგან. ამ ყველაფრისთვის მათთვის აუცილებელია ხელისუფლების იმ შტოს შენარჩუნება, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება ჰქვია. დღევანდელ ხელისუფლებას უკვე ხმამაღლა საყვედურობენ, რომ ხელისუფლება ვერ ახორციელებს იმ პროცესებს, რასაც ჰქვია სამართლიანობის აღდგენა. ფაქტია, რომ პროკურატურა მუშაობს, მაგრამ, ვხედავთ იმასაც, რომ სერიოზული ბრალდებით სასამართლოში მიყვანილი პიროვნებები გირაოთი თავისუფლდებიან. საზოგადოების ფართო ფენა უყურებს, რაც ხდება, იგივე უგულავასთან და ასეთ პირებთან დაკავშირებით, მაგრამ ხალხმა არ იცის ინფორმაცია იმის შესახებ, ვთქვათ, რა ხდება რაიონებში სასამართლოების მხრიდან. პროკურატურა იჭერს დამნაშავეებს, მოსამართლეები ყველას გირაოთი ათავისუფლებენ. ესენი ის მოსამართლეები არიან, რომლებიც პირველ ოქტომბრამდე ყველას პატიმრობას უფარდებდნენ.

***— ნაციონალები საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ სასამართლოს?***

— სასამართლო ნაციონალების ხელში პოლიტიკურ იარაღად იქცა. ეს იარაღი მათ აუცილებლად სჭირდებათ და ეცდებიან, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, ყველანაირ ღონეს ხმარობენ, რომ არ მოხდეს ამ ბერკეტების ხელიდან გაშვება. საზოგადოებას კი უნდა დამოუკიდებელი სასამართლო, არავისი პოლიტიკური წნეხის ქვეშ მყოფი სასამართლო, არც დღევანდელი ხელისუფლების ხელში რომ იყოს და არც გუშინდელი მმართველი გუნდის ხელში. ჩვენ გვინდა, სასამართლო ემსახურებოდეს სამართალს და კანონს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა. მაგალითად, დღეს პროცესი მაქვს, რომელსაც განიხილავს მოსამართლე ჩემია. წარმოიდგინეთ ჩემი, როგორც ადვოკატის მდგომარეობა, როდესაც სხდომათა დარბაზში დამხვდება მოსამართლე ჩემია. თავიდანვე ვიცი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფიც გაფრთხილებული მყავს, რომ ამ ტიპის ადამიანებთან არაფერი გამოვა, აზრი არა აქვს ანუ სასამართლო ისევ იმ რეჟიმში მუშაობს, ოღონდ დღეს ნიღაბი ჩამოიხსნა და ღიად დავინახეთ, რომ კუბლაშვილებისა და ნაცმოძრაობის მსახურია. სასამართლო ხელისუფლება არის მესამე ხელისუფლება. ის არის უმნიშვნელოვანესი ხელისუფლება. აი, ეს უმნიშვნელოვანესი მექანიზმი უკავიათ დღეს ნაციონალებს ხელში და მე ამ შემთხვევაში ვეთანხმები თეა წულუკიანს, რომელიც ყველაზე რადიკალურია ამ შემთხვევაში, რომ მოსამართლეების კორპუსი, შეიძლება, ორი-სამი ადამიანის გამოკლებით, აბსოლუტურად შესაცვლელია. ამ ხალხს არა აქვს უფლება, ატაროს ისეთი საპატიო ტიტული, რასაც მოსამართლე ჰქვია, 2004 წლიდან დღემდე, მათ, ვინც მოსამართლეებად მუშაობს, არათუ სამართლებრივად, მორალური ღირსებაც კი არა აქვთ, ერქვათ მოსამართლეები. ისინი უნდა ჩამოშორდნენ სასამართლო



ხელისუფლებას. ჩვენ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს. ამის უფლება მოგვცა ევროკონვენციამ, ამის უფლება მოგვცა გაეროს არაერთმა კონვენციამ, ამის უფლებას გვაძლევს კონსტიტუცია და უამრავი კანონმდებლობა. დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობა ვართ ისევ ტირანი სააკაშვილის ხელში, რომელმაც უზურპირება გაუკეთა სასამართლოს და ის კვლავ აგრძელებს ადამიანების ტანჯვას, წამებას, დამცირებას სასამართლოებისა და მოსამართლეების ხელით.

***— საკმაოდ სერიოზული ბერკეტი აქვთ ხელში. ამის შესახებ თქვენც ისაუბრეთ და, ალბათ, ასე მარტივად არ დათმობენ.***

— ისე კარგად დათმობენ და ისე კარგად გაუშვებენ, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ასე ეგონა სააკაშვილს, რომ არც აღმასრულებელ ხელისუფლებას გაუშვებდა, მაგრამ გაუშვა. სააკაშვილი არის გუშინდელი დღე. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ წინსვლა, ქვეყანას სჭირდება დემოკრატიული ინსტიტუტების თავიდან შექმნა, ქვეყანას სჭირდება ეკონომიკის განვითარება, რაც ბიზნესზეა დამყარებული. ვერასდროს იქნება ბიზნესი თავისუფალი, ვერასდროს იქნება ადამიანის უფლებები დაცული, ვერასდროს ვერ მიაღწევს სახელმწიფო წარმატებას, თუ სასამართლო არ იქნება თავისუფალი ნებისმიერი პოლიტიკური ძალისაგან. თქვენ გახსოვთ თავის დროზე ნაციონალების გამონათქვამი, შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩვენი სახელმწიფოს ხერხემალიაო, მამა გაბაშვილმა განაცხადა ერთხელ ვანო მერაბიშვილსა და შინაგან საქმეთა უწყებაზე. რანაირი ხერხემალიც იყო ვანო მერაბიშვილი, კი ვნახეთ, როგორ გადაიმტვრა უცებ, როდესაც სერიოზული ძალა დადგა. მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს ხერხემალი, ეს არის სასამართლო ხელისუფლება. აი, ამ ხერხემალს სჭირდება დღეს გათავისუფლება იმ წნეხისგან, რომელსაც ახორციელებს ნაციონალური მოძრაობა და თვითონ ის მოსამართლეები, რომლებიც მოსამართლეების მანტიებში დადიან და თავს წარმოუჩენენ საზოგადოებას, როგორც ვითომდა კანონიერი მოსამართლეები. კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ და ამიტომ ეს ცვლილება სასწრაფოდ განსახორციელებელია. სანამ სასამართლო ტირან სააკაშვილის ხელშია, ქვეყანასა არ ეშველება. ვერც ბიზნესი განვითარდება და უამრავი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ, როდესაც სასამართლოები ისევ ნაციონალების ბიზნესის ლობირებას ახორციელებენ, სამშენებლო ბიზნესი იქნება ეს თუ ნავთობის ბიზნესი. არის მონოპოლიები, რომელიც ვერ ინგრევა, ფაქტობრივად, იმიტომ რომ ადამიანები ვერ იცავენ სასამართლოებში თავიანთ უფლებებს. ეს სასამართლოები ისევ იცავენ ბეჟუაშვილის, კეზერაშვილის, ქარსელაძეების და ამ ბანდიტების ინტერესებს. მე ვფიქრობ, რომ საერთოდ ეს კოჰაბიტაცია დამამცირებლადაც კი მოქმედებს ხალხზე, იმიტომ რომ არანაირად არ შეიძლება დამნაშავეებთან კოჰაბიტაცია. როგორ შეიძლება, ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანი მოკლას და ჩვენ ვთქვათ, მოდით, არ დავსაჯოთ და მასთან ერთად გავაგრძელოთ თანაცხოვრება. ეს არის წარმოუდგენელი რამ.

***— თუმცა ამაზე დასავლეთის მხრიდან ზეწოლა მიდის და, ასე თუ ისე, მაინც ახერხებენ, რადგან იზიარებს ამ ყველაფერს ახალი ხელისუფლება... თუნდაც იგივე კენჭისყრის შედეგები რომ ავიღოთ საკონსტიტუციო ცვლილებების და ასე შემდეგ...***

— კენჭისყრის შედეგები საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სხვა თემაა. ეს აბსოლუტურად დამოუკიდებელი თემაა, მაგრამ რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას, რომ იუსტიციის საბჭო უნდა შეიცვალოს, მათ დააფიქსირეს ეს ვენეციის კომისიის დასკვნაში. ოღონდ იქ არის ერთი მომენტი, ამ ეტაპზე არ შეიცვალოსო. ეს რის რეკომენდაცია. რეკომენდაცია სახელმწიფოს შეუძლია გაიზიაროს და არ გაიზიაროს. იქ არ წერია, რომ გინდა თუ არა ასე უნდა იყოს. ეს არის რეკომენდაცია და დიდი მადლობა ჩვენს მეგობრებს რეკომენდაციისთვის. არის რეკომენდაციები, რომლებსაც სახელმწიფოები იზიარებენ და იმიტომ ხარ შენ დამოუკიდებელი სახელმწიფო და არ ხარ ავტონომია, ჩვენ შეგვიძლია, ეს რეკომენდაცია რაღაც ნაწილში გავიზიაროთ და რაღაც ნაწილში არ გავიზიაროთ. ვიზიარებთ იმ ნაწილში, სადაც საუბარია იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებაზე და ასე შემდეგ, მაგრამ არ უნდა იქნეს გაზიარებული იმ ნაწილში, რომ ამ ეტაპზე არ შეიცვალოს იუსტიციის საბჭო. ეს ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთავარი გარანტია. მადლობა ჩვენს მეგობრებს, რომ რეკომენდაციებს გვაძლევენ, მაგრამ ჩვენ გვინდა სამართალი. ჩვენს მეგობრებს შეგვიძლია უამრავი მაგალითები მოვუყვანოთ, როდესაც იუსტიციის საბჭო და მოსამართლეები სისტემატურად არღვევენ არსებულ კანონმდებლობას და გამოაქვთ უკანონო გადაწყვეტილებები. ამის ნათელი მაგალითია სტრასბურგის სასამართლო, სადაც პროცენტულად ყველაზე მეტი საჩივარი საქართველოდანაა შესული. რა უნდა ვქნათ, რას ვუცადოთ? სანამ კუბლაშვილი არ შემოგვივარდება ოჯახებში და სანამ არ დაგვახრჩობენ ეს მოსამართლეები?! დღეს, ფაქტობრივად, ზონდერბრიგადებად იქცნენ მოსამართლეები. ის ნაწილი, რომელიც სადღაც თავს აფარებს, რომლებიც შემალული არიან, შეყუჟული არიან, ეს დამნაშავე ელემენტები და პოლიტიკური კრიმინალები, ამოფარებული არიან მოსამართლეების მანტიების უკან. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, უბრალოდ, წარმოუდგენელია. დიდი მადლობა ჩვენს მეგობრებს რეკომენდაციისთვის, რაღაცას გავიზიარებთ, რაღაცას ვერ გავიზირებთ. სამწუხაროდ, ასეა, რა ვქნათ. ექიმიც გაძლევს რეკომენდაციას, რაღაც გააკეთეო, მაგრამ ვერ აკეთებ, როგორც შენს ორგანიზმს უხდება, ისე აკეთებ. ამიტომ, რაც ჩვენ გვიხდება და რაც ჩვენ გვიშველის, რაც ჩვენს დაავადებულ ორგანიზმს გამოაჯანმრთელებს, იმისკენ უნდა წავიდეთ.

***— ხომ არ მოხდება ისე, რომ ამ სასამართლოებთან დაკავშირებით უმრავლესობა რაღაცას დაუთმობს ოპოზიციას? ბოლო პერიოდში ეს ტენდენცია ჩამოყალიბდა, ჯერ რქებით აწვებიან და მერე უცებ თმობენ ხოლმე...***

— არა, არ არის ასე... არაფერი დაუთმია უმრავლესობას უმცირესობისთვის. თუ სარეიტინგო კენჭისყრაზე ვსაუბრობთ ჩვენ, კისერიც მოტეხიათ მაგათ, ყოფილიყო ეს სარეიტინგო კენჭისყრა. ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტა, როგორიც იყო საკონსტიტუციო ცვლილება, მე მგონი, ღირდა იმად, რომ რაღაც სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარებულიყო. ჩვენ ვიცით, არდათმობამ, პოლიტიკაში ერთი ნაბიჯით ტაქტიკურმა უკან სვლებმა, პოლიტიკურმა გაუთვლელობამ, გაუანგარიშებლობამ გაგახსენებთ 90-იან წლებს, შემდეგ პერიოდებს, 23-24 წელიწადია კომუნისტურ რეჟიმში ჩაგვტოვა. დღეს დსთ-სა და შუა აზიის ბევრი სახელმწიფო დემოკრატიის კუთხით გაცილებით უფრო წინ არის, ვიდრე ჩვენ. შესაბამისად, რაღაც მომენტების დათმობა, იმისთვის, რომ მიიღო ის ძირითადი, რაც შენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მე ვფიქრობ, არანაირი დათმობა არ არის, პირიქით, ხოლო სააკაშვილის განცხადება, რომ დღეს დაიბადა ნაციონალური მოძრაობა, მეორე დღეს რომ გამოვარდა და განაცხადა, მას მინდა ვუთხრა, ვერ მიხვდა ის კარგად, იმ დღეს კი არ დაიბადა ნაციონალური მოძრაობა, იმ დღეს გარდაიცვალა, იმიტომ რომ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც სჭირდება სარეიტინგო კენჭისყრა იმისთვის, რომ ქვეყანასა და ხალხს დაანახვოს, რომ ჩვენ ერთიანები ვართ, ის პოლიტიკური ძალა პოლიტიკური ძალა აღარ არის. არანაირი ზეწოლა „ქართული ოცნების“ მხრიდან ნაციონალ დეპუტატებზე არ მიდიოდა. პირიქით, ხალხო, უამრავი მაგალითი არსებობს და ამას პირად საუბრებშიც ამბობენ, ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები არიან საშინელი ზეწოლის ქვეშ თავად მიხეილ სააკაშვილის იმ ბანდიტური კლანის სათავეში მყოფი ადამიანებისგან, რომელშიც შედის სააკაშვილი, მერაბიშვილი, კეზერაშვილი და ასე შემდეგ. ასე რომ, იმ დღეს გარდაიცვალა ზუსტად ნაციონალური მოძრაობა. სააკაშვილს დღეს ყველა დარტყმა თავის თავზე მიაქვს, ამით ცდილობს ნაციონალური მოძრაობა, გადაარჩინოს იმისთვის, რომ დაიმალონ და ახალი სახით, ახალი სახელწოდებით და ახალი სახეებით მოგვევლინონ. ეს მათივე პოლიტიკური თამაშია და ვფიქრობ, რომ საზოგადოება, ხალხი, ხელისუფლება მათ ამ თამაშში არ უნდა ავყვეთ. რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ ამ გარყვნილ და ბანდიტურ პოლიტიკურ ძალაზე უკეთესია ერთი მარტივი მიზეზის გამო — ისინი აღარ არსებობენ საქართველოში. ერთადერთი, მათ დასაყრდენი დარჩათ სასამართლო და ძალიან მალე, რამდენიმე დღეში ესეც გამოეცლებათ და მათი სახსენებელიც კი აღარ იქნება საქართველოში. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხში არანაირ დათმობაზე არ წავა. სასამართლო უნდა იყოს ყველასგან დამოუკიდებელი. სასამართლოს დამოუკიდებლობის ფასი ამერიკელებმაც მშვენივრად იციან.

## საიას თანამშრომელი ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის დააჯარიმეს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ბიუროს მძღოლი როინ ფარტენაძე, საპატრულო პოლიციამ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის და მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისთვის დააჯარიმა.

,,მერსედესის მარკის მძღოლს როინ ფარტენაძეს ჯარიმა დაეკისრა, რადგან მან საგზაო წესები დაარღვია, არ დაემორჩილა საგზაო ნიშანს და საავარიო სიტუაცია შექმნა. მძღოლი ალკოტესტზეც გადამოწმდა, რის შემდეგაც დადგინდა, რომ იგი საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. ბაზაში გადამოწმების შემდეგ კი დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნება არაერთხელ იყო ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვის გამო დაჯარიმებული'', — განაცხადა ბათუმის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა.

შეგახსენებთ, რომ საიას თანამშრომელ როინ ფარტენაძესა და აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროს ვალერი თელიას შორის ინციდენტი მოხდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, შსს-ს გენერალური ინსპექცია შიდა მოკვლევას აწარმოებს.

ნიუსპრესი

## სარფისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ნარკოტიკული საშუალებები „მარიხუანა“ და „ლირიკა“ ამოიღეს

სარფისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, გუშინ, ნარკოტიკული საშუალებების მალულად შემოტანის ფაქტები გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე, აზერბაიჯანის მოქალაქე ლ. ი.-ს საბაჟო კონტროლის დროს 5 გრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება, ე.წ. „მარიხუანა“ აღმოაჩნდა.

გუშინვე, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოში რუსეთის მოქალაქე პ. კ. შემოვიდა. მას დათვალიერებისას არადეკლარირებული მედიკამენტი, — 150 აბი „ლირიკა“, იგივე „პრეგაბალინი პ150“ აღმოაჩნდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, საბაჟო კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნივთმტკიცება, თანდართული საქმის მასალებით, კრიმინალურ პოლიციას გადასცეს.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ცეზარ ჩოჩელის ბიზნესები წინა ხელისუფლების დროს „საგადასახადო ოაზისში“ მოღვაწეობდა

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 21 მარტიდან 28 მარტამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ წინა ხელისუფლების დროს, ცეზარ ჩოჩელის ბიზნესები „საგადასახადო ოაზისის“ პირობებში მოღვაწეობდა.

კითხვაზე — „ეთანხმებით თუ არა ნოდარ ხადურის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩოჩელების ბიზნესი წინა ხელისუფლების დროს „საგადასახადო ოაზისში“ ფუნქციონირებდა,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 75,7 პროცენტმა დადებით პასუხი გასცა, 16,2 პროცენტმა კი საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 8,1 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯაშუშობაში მსჯავრდებულ ფოტოგრაფებს პირობითი მსჯავრი და ნასამართლობა მოეხსნათ

შორენა მარსაგიშვილი

**ირაკლი გედენიძის, გია აბდალაძის და ზურაბ ქურციკიძის ისტორია ჩვენში ყველამ იცის. ქვეყნის საუკეთესო ფოტორეპორტიორები 2011 წლის ივლისში ხელისუფლებამ ჯაშუშობის ბრალდებით დააკავა. მათი ჯაშუშობის ამბავი არავინ დაიჯერა.**

მათ დაკავებას ქვეყანაში მძლავრი პროტესტი მოჰყვა. ძალიან მალე ეს ბიჭები საპატიმროდან გაათავისუფლეს. გუშინ კი უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის ბრალდებულ ფოტორეპორტიორებს ირაკლი გედენიძეს, მის მეუღლეს ნათია გედენიძეს, გია აბდალაძეს და ზურაბ ქურციკიძეს პირობითი მსჯავრი და ნასამართლობა მოეხსნათ.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, ეს საქმე არის ქვეყნის სირცხვილი და რომ არა ჟურნალისტების და



საზოგადოების აქტიურობა, ფოტორეპორტიორები ციხეში 1-ელ ოქტომბრამდე იქნებოდნენ.

ფოტორეპორტიორების თქმით, ნასამართლობა მათ პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლიდა, რადგან სახელმწიფო ორგანიზაციებში აკრედიტაციის მიღებაზე პრობლემები ექმნებოდათ.

ფოტოგრაფები ირაკლი გედენიძე და მისი მეუღლე ნათია გედენიძე, გიორგი აბდალაძე და ზურაბ ქურციკიძე 2011 წლის 7 ივლისს უცხო ქვეყნებთან ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს.

მათ დაკავებას როგორც უკვე ავღნიშნეთ საზოგადოებაში დიდი პროტესტი მოჰყვა. თბილისში ჟურნალისტების რამდენიმე აქციაც გაიმართა. საქმეში სახვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვნენ.

დაკავებულთაგან ერთ-ერთი, ირაკლი გედენიძე პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი იყო. მაშინვე ითქვა, რომ ეს დაკავება რაღაც სერიოზულს უკავშირდებოდა. ითქვა, რომ ხელისუფლებას ეს რაღაცის გადასაფარავად დასჭირდა. ეს რაღაცა კი შესაძლოა სისხლიანი 26 მაისი ყოფილიყო.

მერე გაირკვა რომ მათი დაკავება მართლაც 26 მაისს უკავშირდებოდა. ამ ბიჭებმა 26 მაისის დარბევისას ძალიან სერიოზული ფოტოები გადაიღეს. სწორედ ამ ფოტოების წყალობით გაიგო დასავლეთმა როგორ არბევდა დემოკრატი სააკაშვილი აქციებს.

არჩევნების შემდეგ მათი ფოტოების გამოფენაც გაიმართა. ამ გამოფენას საქართველოს პრემიერიც დაესწრო.

გუშინ კი მათ ნასამართლეობა მოეხსნათ. იმედი ვიქონიოთ, რომ მათი საქმის ხელახალი გამოძიება მოხდება. იმედია გავარკვევთ რატომ ან რის გადასაფარავად დასჭირდა ხელისუფლებას ამ ბიჭების დაკავება.

# შინაგან საქმეთა სამინისტრო ბათუმში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შიდა მოკვლევას იწყებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია, ქალაქ ბათუმში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლებსა და აჭარის შს მთავარი სამმართველოს უფროს ვალერი თელიას შორის მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შიდა მოკვლევას იწყებს.

ამის შესახებ სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

„ამ დროისათვის დადგენილია, რომ „მერსედესი“-ს მარკის ავტომანქანის მძღოლის როინ ფარტენაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას. შემთხვევა ბათუმში, 28 მარტს, 11 საათსა და 40 წუთზე, გრიბოედოვისა და გორგასლის ქუჩების კვეთაზე მოხდა, როდესაც მძღოლი არ დაემორჩილა საგზაო ნიშანს – „დაუთმე გზა“ და „ტოიოტა“-ს მარკის ავტომანქანას , რომელსაც ვალერი თელია მართავდა, ავარიული სიტუაცია შეუქმნა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ორივე ავტომანქანის მძღოლი შემოწმდა ალკოტესტის მეშვეობით. ექსპერტიზის შედეგად დადგენილია, რომ „მერსედესი“-ს მძღოლი როინ ფარტენაძე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, რის საფუძველზეც შედგა შესაბამისი საჯარიმო ოქმი. მძღოლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილითა (მანევრირების წესების დარღვევა, რასაც საავარიო ვითარების შექმნა მოჰყვა) და 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ( საჭის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის დროს) თანახმად დაჯარიმდა“ – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს განცხადებითვე, სამინისტრო, ამ ფაქტზე მოკლევის დასრულების შემდეგ, საზოგადოებას შემთხვევის შესახებ, სრულ ინფორმაციას მიაწვდის.

**ნიუსპრესი**

# დავით უსუფაშვილი: „კიდევ ბევრ შოკისმომგვრელ მიმოწერას ვნახავთ“

შორენა მარსაგიშვილი

ალბათ, გახსოვთ, რა ამბები ატყდა მოსკოვში „ერისიონის“ გასტროლების გამო. ნაციონალებმა და მათმა პატრიოტმა დამქაშებმა ქართველი მოცეკვავეები ლამის ქვეყნის მოღალატეებად გამოაცხადეს. საბედნიეროდ, საზოგადოება მათ იაფფასიან სპექტაკლს არ აჰყვა და ეს საპროტესტო ტალღაც მინავლდა.

2 დღის წინ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა ისეთი წერილი ააფრიალა, ნაციონალებს კარგა ხნით დაუმუწა საინფორმაციო ღრუ. 2008 წლის 27 ნოემბრით დათარიღებულ წერილში იმ დროისთვის კულტურის მინისტრის პოსტზე მყოფი გრიგოლ ვაშაძე თავის რუს კოლეგას მოსკოვში ქართველი კულტურის მოღვაწეების მონაწილეობით ღონისძიებების გამართვას სთავაზობს.

თავად გრიგოლ ვაშაძე აღნიშნულ მიმოწერას ადასტურებს, თუმცა, სვამს კითხვას, რომელმა კლინიკურმა იდიოტმა გადასცა ეს წერილი მეორე კლინიკურ იდიოტს, რადგან ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იყო.

არადა, გრიგოლ ვაშაძე როგორ დიდ პატრიოტად გვაჩვენებდა თავს. ამ დროს კი რუსებს ევედრებოდა, კონცერტი გამამართვინეთო. იმ დროს აგვისტოს ომი სულ რაღაც 3 თვის დამთავრებულიყო.

ვაშაძის წერილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერში დიდი ჟრიამული გამოიწვია. მეოცნებეები ამბობენ, რომ მათთვის ეს წერილი დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა. გაოგნებული და „აღშფრთოვანებული“ არც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დარჩენილა. უსუფაშვილის განცხადებით, სამწუხაროდ, სხვა არაერთ შოკისმომგვრელ მიმოწერას ვნახავთ.

– არაფერი ვიცოდი არც ამ მიმოწერის შესახებ და არც სხვა ბევრ მიმოწერაზე, რომელთა შესახებ, ალბათ, ნელ-ნელა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. სამწუხაროდ, სხვა არაერთ შოკისმომგვრელ მიმოწერას ვნახავთ. ამ მიმოწერაში რა შეიძლება იყოს საიდუმლო, იარაღის მიწოდება-მოწოდებაზე იყო საუბარი თუ რამე სხვაზე?! კონცერტების თაობაზე მიმოწერა არც ერთ ქვეყანაში საიდუმლო არაა და რაღა ამ ქვეყანაში უნდა იყოს საიდუმლო, თუნდაც ამის შესახებ მინისტრი სადმე წერილს გზავნიდეს, – განაცხადა უსუფაშვილმა.

კონცერტების თემაზე მიმოწერა ნამდვილად არ არის საიდუმლო. თუმცა, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, საქართველოს ხელისუფლება თურქეთთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. საუბარია საოცნებო ხელისუფლებაზე, თორემ ნაციონალებისგან ფარულ ჭიკჭიკს მიჩვეული ვართ.

ამ დღეებში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ დავითოღლუ. ის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. ამ შეხვედრების დასრულების შემდეგ გაკეთდა განცხადებები, რომ ბათუმში აუცილებლად აშენდება მეჩეთი.

აზიზიეს მეჩეთის აშენებაზე საქართველოში შარშან დაიწყეს საუბარი. თურქეთის ხელისუფლება მხოლოდ ამ პირობით თანხმდებოდა მის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული ძეგლების აღდგენას.

აზიზიეს მეჩეთის თემა ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვის საბაბი გახდა. აჭარაში ამ საკითხთან დაკავშირებით საპროტესტო აქციებიც გაიმართა. აზიზიეს მეჩეთის გარშემო პარლამენტშიც მწვავე განცხადებები კეთდებოდა. აქტიურობდა მაშინდელი არასაპარლამენტო ოპოზიციაც. ეს ხალხი ახლა საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს და, როგორც მოსალოდნელი იყო, დადუმდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები ყველასთან შეთანხმებული და მისაღები იქნება. ეს განცხადება უსუფაშვილმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ახმედ დავითოღლუსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– ვთანხმდებით იმაზე, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ორივე სახელმწიფო პატივს სცემს მოქალაქეების უფლებებს, მათ შორის, რელიგიურ თავისუფლებას. ჩვენ ვისაუბრეთ ცნობილ თემაზე, რომელიც ეხება ქართული კულტურის ძეგლების აღდგენას. თქვენ იცით, რომ, პრაქტიკულად, მიღებულია გადაწყვეტილება ორი ძეგლის აღდგენითი სამუშაოების დაწყებაზე. რაც შეეხება ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხს, ამაზე პრემიერმა უკვე ისაუბრა. აქედან ბატონი მინისტრი მიემგზავრება პატრიარქთან შეხვედრაზე, ასე რომ, ყველა საკითხი ამ მიმართულებით იქნება ყველასთვის მისაღები და ყველასთან შეთანხმებული, – განაცხადა უსუფაშვილმა.

იმედია, მართლაც ყველასთვის მისაღები იქნება მეჩეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. სხვა თუ არაფერი, აჭარაში ბოლო დროს მეჩეთები საკმაოდ მომრავლდა. ცნობილია, რომ დღეისათვის აჭარაში 147 მეჩეთი და ორჯერ მეტი მედრესეა, მაშინ როცა ამ კუთხეში მხოლოდ 40 ეკლესიაა. ეს ციფრები ბევრ რამეზე მეტყველებს და, კარგი იქნება, თუ იმასაც აგვიხსნიან, რა აუცილებლობას წარმოადგენს ახალი მეჩეთის აშენება.

თურქეთთან საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს. ხელისუფლებაში ოცნების მოსვლის შემდეგ ნაციონალებმა ივარაუდეს, რომ ამ მიმართულებით საქმე გაფუჭდებოდა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რაიმე თემაზე თურქეთთან ურთიერთობის გართულებას, თუნდაც შორეულ მომავალში, გამორიცხავს.

მისი თქმით, ეს მათი პირველი შეხვედრა იყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე ერთნაირად ფიქრობენ.

– ჩვენ ვისაუბრეთ თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ბევრ ასპექტზე და შევთანხმდით, რომ პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, იქნება ეს ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, ჩვენ ვართ სწორ გზაზე და მხოლოდ ტემპების გაზრდაა საჭირო. ძალიან სერიოზული თემები და საკითხები, რომელზეც ჩვენ თუნდაც შორეულ მომავალში შეიძლება ველოდეთ ურთიერთობების გართულებას ორ ქვეყანას შორის, გამორიცხულია. თურქეთის დელეგაციაში იმყოფებიან პარლამენტის წევრები, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ქართული ფესვების მქონენი არიან და, მინისტრის თქმით, ისინი ქართულად უკეთესად საუბრობენ, ვიდრე ინგლისურად. ჩვენ შევთანხმდით, რომ მომავალში კიდევ უფრო უკეთესი ურთიერთობები გვექნება და საქართველოში ხელისუფლების შეცვლა არანაირ ნეგატიურ გავლენას არ ახდენს. პირიქით, ახალი მთავრობა ახალი ენთუზიაზმით შეუდგება ჩვენთვის სტრატეგიულ ქვეყანასთან თანამშრომლობას, – განაცხადა უსუფაშვილმა.



# „7 აპრილს საქართველოში იეღოვას მოწმეების საერთაშორისო შეკრება ჩატარდება“

შორენა მარსაგიშვილი

26 მარტს საქართველოს მასშტაბით იეღოვას მოწმეების მასშტაბური შეკრება ჩატარდა. ამ შეკრებაზე დასასწრები მოსაწვევები საკმაოდ ადრე დარიგდა ხალხში. იყო საშიშროება, რომ ვიღაცას შესაძლოა პროვოკაციები მოეწყო. არცთუ შორეულ წარსულში იეღოვას მოწმეებს აწიოკებდნენ.

26 მარტის შეკრებამ მშვიდად ჩაიარა. შესაბამისად, არავის უთქვამს, რომ ქართველები აგრესიულები ვართ. ვერ გეტყვით, არის თუ არა რაიმე კავშირში 26 მარტს ჩატარებული შეკრება, მაგრამ გაირკვა, რომ 10 დღეში საქართველოში იეღოვას მოწმეების მორიგი შეკრება გაიმართება. ოღონდ ეს შეკრება ამჯერად საერთაშორისო რანგის იქნება.

გიორგი აფხაიძემ სააგენტო „მედიანიუსს“ ამცნო, რომ ეს შეკრება 7 აპრილს გაიმართება. გიორგი აფხაიძე შოთა აფხაიძის ძმაა, რომელიც ცოტა ხნის წინ საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრად აღიარა. შოთა აფხაიძე ახლა თავისუფალია და აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში.

გიორგი აფხაიძის ცნობით, 7 აპრილს იეღოვას მოწმეთა მასშტაბური შეკრება უნდა გაიმართოს, რომლის მსგავსიც (მასშტაბურობის თვალსაზრისით) ჯერ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა.

აფხაიძის განცხადებით, კონფერენციას იეღოვას მოწმეთა მსოფლიოს პირველი კრება ეწოდება და მასში მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოში მსოფლიოს 38 ქვეყნის წარმომადგენელი იეღოვას მოწმე აპირებს ჩამოსვლას. აფხაიძე თავის თანამოაზრეებთან ერთად აღნიშნული კრების საქართველოში ჩატარებას აპროტესტებს და ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ სტადიონი, სპორტის სასახლე ან ფილარმონიის დარბაზი ზემოხსენებული მიზნისთვის არავის მიაქირავოს.

– ეს სულ ახალი ინფორმაციაა, რომელსაც ისინი არ ასაჯაროებენ და მე ის სრულიად შემთხვევით, კულუარულად მოვიპოვე იეღოვას მოწმეთა ერთ-ერთი კოორდინატორისგან. ჩვენ მათი რელიგიის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ასეთი მასშტაბური კრების საქართველოში ჩატარება არ გვსურს, მით უმეტეს იქ, სადაც ფართო საზოგადოების თავშეყრის ადგილია. ხელისუფლებისაგან ვითხოვთ, რომ მათ არ მიაქირავონ კონკრეტული ტერიტორიები: საფეხბურთო სტადიონი, სპორტის სასახლე ან ფილარმონია. მათ აქვთ იმის სახსრები, რომ ეს კრება სხვა ქვეყანაში, მაგალითად, ჰოლანდიაში გამართონ. რაღა მაინცდამაინც საქართველო აირჩიეს და მით უმეტეს 7 აპრილი, როცა ხარების წმინდა დღესასწაული აღინიშნება?! ჩემი აზრით, ეს პროვოკაციაა. ვითხოვთ, არ დაუშვას ხელისუფლებამ აღნიშნული კრების საქართველოში ჩატარება, – განუცხადა აფხაიძემ „მედიანიუსს“.

„მისივე თქმით, ხუთშაბათს, 4 აპრილს, 13:00 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართება იეღოვას მოწმეების მიერ დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების მოწინააღმდეგეთა პრესკონფერენცია.

აღნიშნული პრესკონფერენცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ორგანიზებით ჩატარდება და ყველას ექნება საშუალება, რომ თავისი პროტესტი გამოთქვას იეღოვას მოწმეთა მიერ დაგეგმილი კრების შესახებ. „ქორთიარდ მარიოტში“ დაგეგმილ შეხვედრას, შესაძლოა, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც დაესწრონ.

„მედიანიუსმა“ აფხაიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება იეღოვას მოწმეთა საქართველოს ადმინისტრაციის იურისტ მანუჩარ ციმინტიასთან სცადა, რომელიც, თავის მხრივ, დეტალების გასარკვევად უშუალოდ იეღოვას მოწმეთა ქართული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა.

– ასეთი (კრების ჩატარების) განზრახვა იყო, თუმცა ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. როგორც მეუბნებიან, ეს საერთაშორისო ღონისძიება დადგენილი იყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, ჩაატარებენ თუ არა, – უთხრა „მედიანიუსს“ ადვოკატმა.

მასშტაბური შეკრებისთვის, ბუნებრივია, სათანადო ადგილია საჭირო. „მედიანიუსმა“ გაარკვია, რომ ამ მიზნით იეღოვას მოწმეებმა უკვე მიმართეს სპორტის სასახლეს.

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა სპორტის სასახლის ადმინისტრაციას. მათ ეს ფაქტი არც უარყვეს და არც დაადასტურეს.

როგორც ციმინტია განმარტავს, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა, რადგან დარბაზს ეძებენ, გამოდის, რომ შეკრებაც დაუგეგმავთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს შეკრება მშვიდად ჩაივლის და ვიღაცებს სალაპარაკო თემა არ გაუჩნდება.

გიორგი აფხაიძე კი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება თბილისში მსგავსი მასშტაბური კრების ჩატარების პრეცედენტს დაუშვებს, მისი და მისი თანამოაზრეების რეაქცია დადებითი არ იქნება.

– ჩემი აზრით, ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს აზრს. ეს აქ არ უნდა ჩატარდეს, ხომ შეიძლება, რომ სხვა ქვეყნებში ჩატარდეს? – ამბობს იგი.

აფხაიძე აღნიშნავს, რომ იგი თავის მეგობრებთან ერთად გააგრძელებს ბრძოლას იმისათვის, რომ იეღოვას მოწმეთა მასშტაბური აქცია თბილისში არ გაიმართოს, თუმცა ამ პროცესში რაიმე სახის ძალადობრივ ქმედებებს გამორიცხავს და აცხადებს, რომ მათი ბრძოლა მხოლოდ კონკრეტული განცხადებებითა და პროტესტის დაფიქსირებით გამოიხატება.

# არჩილ კბილაშვილი: „ყველას დავკითხავ!“

შორენა კოწოწაშვილი

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ქვეყანაში საკმაოდ ხმაურიანი კრიტიკის ფონზე მიმდინარე სამართლიანობის აღდგენის პროცესი თანდათან უფრო მეტ დანაშაულს გამოკვეთს ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსანთა მონაწილეობით. მართალია, პრეზიდენტი სააკაშვილი მუდმივად თავს იწონებდა იმით, რომ მისი მმართველობის პირობებში ქვეყანაში კორუფცია მოისპო და მის მინისტრებს ამ კუთხით ბრალს ვერავინ წაუყენებს, მაგრამ ის ფინანსური დანაშაულობები, რომლებიც მთავარ პროკურატურაში შესული საჩივრებიდან იკვეთება, ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებს და წინა მთავრობის მინისტრთა კაბინეტის წევრების არა მხოლოდ კორუფციულ ბრალეულობას გამოკვეთს, არამედ სხვა სისხლის სამართლის დანაშაულობებსაც.

პრეზიდენტის გუნდის წევრები ძირითადად დასავლეთის გასაგონად აცხადებენ, რომ დღეს მთავარი პროკურატურა უსუსურად გამოიყურება და პროკურატურის მიერ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის წაყენებული ბრალდებები სასაცილოდ ჟღერს. ამ ფონზე თავად მთავარი პროკურორი ჩვეული სიმშვიდით და სიდინჯით, რომ არაფერი ვთქვათ, პროფესიონალიზმზე, თანდათან ახმაურებს იმ საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეების დასასრულის თაობაზე ინფორმაციას, რომელზეც კითხვები გამოძიებას არა მხოლოდ ყოფილ პრემიერ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით არსებობს, არამედ თავად ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთანაც.

— საჭიროების შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაც მოხდეს, — განაცხადა გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის დაწყებამდე მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა. მისი თქმით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ უშვებს არც ერთ გამონაკლისს არც ერთი თანამდებობის პირის მიმართ დაკითხულ იქნეს მოწმის სახით, თუ არსებობს მოწმის დაკითხვის წინაპირობა.




— არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც არ დაიკითხება, — აცხადებს კბილაშვილი.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მის დაკითხვაზე შესაძლო დაბარებასთან დაკავშირებით ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეზე, სატელევიზიო ინტერვიუში ცალსახად განაცხადა, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება, ანუ არსად პრეზიდენტს დაკითხვაზე არ იბარებენ. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილმა ამით პროკურატურას ღია მესიჯი გაუგზავნა, რომ მისი დაბარება არ უნდა მოხდეს და თუ მაინც დაიბარებენ, ის ბუნებრივია, არ გამოცხადდება.

ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით კი პრეზიდენტმა მიუთითა, რომ საქმე გახსნილია და რომ ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, უმცირეს დეტალებამდე შეისწავლეს. სააკაშვილის თქმით, მან თავად სთხოვა აშშ-ის ექსპრეზიდენტ ბუშს ფედერალური ბიუროს წარმომადგენლების ჩაბმა ამ საქმეში.

რაც შეეხება თავად არასამთავრობოებთან შეხვედრას, მთავარი პროკურორის განცხადებით, არასამთავრობო სექტორთან შეხვედრის მთავარი თემა პროკურატურაში საკადრო ცვლილებები იყო. არჩილ კბილაშვილის თქმით, ამ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცვნეს, თუ რა საკადრო პოლიტიკას ატარებს პროკურატურა.

— პროკურატურაში მოხდა რამდენიმე ადამიანის შეცვლა, ამის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ არასამთავრობო სექტორს. ასევე პასუხები გავეცი მათ ცალკეულ შეკითხვებს, ვიმსჯელეთ პოლიტპატიმრების ბრალდებებზეც, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

შეხვედრიდან გამოსულმა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ წარმომადგენელმა ნაზი ჯანეზაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, უფლებადამცველებმა მთავარი პროკურორისგან მოისმინეს რეკომენდაციები იმ საკადრო პოლიტიკაზე, რაც პროკურატურაში ტარდება. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ციხის თემებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არჩილ კბილაშვილი უკვე მეორედ შეხვდა. ეს მინისტრის გახსნილობის მაჩვენებელია, თუმცა კბილაშვილს და მის უწყებას ყველაზე მეტად დღეს იმ პროკურორებისგან გათავისუფლება სჭირდება, რომლებიც ფაქტობრივად დანაშაულებრივი რეჟიმის გამყარებას უწყობდნენ ხელს იმ უმძიმესი ტენდენციით, რითაც სააკაშვილისა და ადეიშვილის პროკურატურა გამოირჩეოდა.

# 77 წლის მოხუცი როლანდ ახალაიას მისი კუთვნილი ქონების მითვისების მიზნით, უკანონოდ დაპატიმრებაში ადანაშაულებს

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ საოლქო პროკურორს როლანდ ახალაიას ზუგდიდის ცენტრში მდებარე 4 ჰექტარი მიწის ფართობის მითვისების მიზნით, ზუგდიდში მცხოვრები მეწარმე, 1936 წელს დაბადებული ნაპო გაბისონიას ხუთი წლით უკანონოდ დაპატიმრებაში ადანაშაულებენ, რომელმაც თავისი ქონების ნებით დათმობაზე უარი განაცხადა.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას დაზარალებულმა ნაპო გაბისონიამ განაცხადა, 5 წელი და სამი თვე ციხეში მხოლოდ იმიტომ გაატარა, რომ როლანდ ახალაიას მისი კუთვნილი ტერიტორიის ხელში ჩაგდება სურდა, ამ მიზნით კი ამ ტერიტორიაზე არსებულ ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოზე სარევიზიო ჯგუფს და შესაბამის ინსპექციას ცრუ დასკვნები დააწერინა, რის საფუძველზეც 1.218355 გადასახადის დამალვასა და მითვისებაში უკანონოდ დაადანაშაულეს.

გაბისონიას ცნობით, საქმის მასალებში გარკვევის შემდეგ მოსამართლე აფრიდონიძე მის უდანაშაულობაში დარწმუნდა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას გეგმავდა, რის გამოც მას საქმის აცილება მისცეს და სხვა რაიონში გადაიყვანეს.

„ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო სს,,ზუგდიდსოფლტექნიკა“ 90-იან წლებში დავაფუძნე. თურქი ინვესტორი შემოვიყვანე, რომელმაც 220 000 ათასდოლარიანი ინვესტიცია განახორციელა. ერთი ამდენი ინვესტიცია კი მე ჩავდე. შემდეგ ყოველგვარი ინვესტიციის გარეშე ჩემთან ერთად საწარმოს საქმიანობაში ჩაერთო და მეწილე გახდა მურთაზ ფაცაცია. 2006 წლის 2 დეკემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ფ. ჯალაღონიამ იმ მოტივით, თითქოსდა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები ჩაბმული ვიყავით ფინანსურ მაქინაციებში, საწარმოში რევიზია გამოუშვა. ჯალაღონია როლანდ ახალაის მითითებით მოქმედებდა. მათ მიერ გამოგზავნილი რევიზიის დასკვნა რადიკალურად განსხვავებეული აღმოჩნდა რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული შუალედური შემოწმების აქტისგან. მეოთხე ხარისხის მორები პირველ ხარისხში გაიყვანეს და არასწორი ხარჯთაღიცხვა შეადგინეს. დაშინებული და მოსყიდული ბუღალტრის დახმარებით, საქმიდან გააქრეს ამ მასალების შესყიდვის აქტები, სადაც მისი ხარისხი და რეალური ღირებულება იყო მითითებული. სახელმწიფოსთვის გადახდილი გადასახადების რაოდენობაც კი შეამცირეს, რაც დოკუმენტურად დადასტურებული იყო. საქმეში ისეთი დარღვევები იყო, მოსამართლე აფრიდონიძემ პროკურატურის მიერ დაკვეთილ გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანაზე უარი განაცხადა და სასწრაფოდ ჩამოაცილეს ჩემს საქმეს, სხვაგან გადაიყვანეს“,- აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას ნაპო გაბისონიამ.

მისივე თქმით, საქმის ახალმა მოსამართლე მ. კაპანაძე, აფრიდონიძესგან განსხვავებით, პროკურატურის მითითებას დაემორჩილა და მის გამამტყუნებელი განაჩენს ხელი მოაწერა.

ნაპო გაბისონია აღნიშნავს, რომ ზუგდიდის იზოლატორში ყოფნისას ახალგაზრდა პროკურორი მიუგზავნეს, რომელმაც დანაშაულის აღიარება და საპროცესო გარიგების შეთანხმება შესთავაზა, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა.

როგორც 77 წლის მოხუცი აღნიშნავს, არჩადენილი დანაშაულის აღიარებაზე უარის თქმის შემდეგ, მისი ქონების ხელში ჩასაგდებად, მას ხალხს უგზავნიდნენ და მუქარის გზით, კუთვნილი ქონების ნებით დათმობაზე ხელის მოწერას სთხოვდნენ, რაზეც ის ასევე კატეგორიულ უარს ამბობდა.

„საპროცესო გარიგებაზე უარი ვთქვი, რადგან არანაირი უკანონობა არ ჩამიდენია და არ ვაპირებდი იმის აღიარებას, რაც არ მქონდა ჩადენილი. ჩემი ასაკის მიუხედავად, ვარჩიე ციხეში წავსულიყავი. 71 წლის კაცი რამდენიმე წლით ჩავჯექი. ჩემმა ოჯახის წევრებმა ორჯერ დაწერეს შეწყალების თხოვნა პრეზიდენტის სახელზე და მე ორჯერვე არ მოვაწერე ხელი ამ შეწყალების თხოვნას. მათი შესაწყალებელი არაფერი მჭირდა. 5 წელი და სამი თვე გავატარე ციხეში და ბოლოს ახალი მთავრობის მიერ გამოშვებული ამნისტიის შედეგად გავთავისუფლდი. ახლა მალე იმათ გაუხდებათ შესაწყალებლად საქმე, ვინც 71 წლის ასაკში ციხეში უკანონოდ გამიშვა და 5 წელი გამატარებინა. ყველანაირი მტკიცებულება და სამხილი მაქვს. სასამართლოშიც უკვე შევიტანე, პროკურატურაშიც და პარლამენტსაც კი გადავეცი ჩემი საქმე. სამწუხაროდ მურთაზ ფაცაციამ ზეწოლას ვერ გაუძლო და სამწლიანი პატიმრობის შემდეგ შეწყალების თხოვანზე ხელი მოაწერა, რის გამოც მე და მას დღემდე უთანხმოება გვაქვს. გატეხვა ვერ ვაპატიე“,-აღნიშნავს 77 წლის მოხუცი.

ნაპო გაბისონიას ცნობით, მესაკუთრეების დაჭერის შემდეგ, უპატრონოდ მიტოვებულ საწარმოს კუთვნილი ტექნიკა პროკურატურის მფარველობით, 0.24 პროცენტიანი წილის მფლობელმა ვახტანგ ხარებავამ გაყიდა და თანხა მთლიანად მიითვისა.

„ეს 0.24 პროცენტი მურთაზ ფაცაციას კუთვნილი თანხით შეძენილი ვაუჩერებით ჰქონდა მოპოვებული და სინამდვილეში, ის წილიც ფაცაციას ეკუთვნოდა, მაგრამ ისეთი მფარველები ჰყავდა, მთელი დანადგარების თანხა მიითვისა. ამ საქმის მთავარი მიზანი სწორედ საწარმოს გაჩერება, განადგურება და შემდეგ მისი ტერიტორიის როლანდ ახალაიასთვის გადაცემა იყო. ჩემს საწარმოში 160 ადამიანი მუშაობდა. 160 ადამიანიც უმუშევარი დატოვეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ზუგდიდის ცენტრში მდებარე ოთხი ჰექტარი მიწას როლანდ ახალაიამ დაადგა თვალი.“,-განუცხადა „მედიანიუსს“ ნაპო გაბისონიამ.

მედიანიუსი

# თავდაცვის სამინისტროში 1000–ზე მეტი უკანონოდ დათხოვნილი კადრი დაბრუნდა

„თელასის“ ფინანსური მენეჯერის მკვლელობისთვის მსჯავრებული გია გვიჩიანის ადვოკატებმა, პრევენციის მიზნით, საქმის ძირითადი ეპიზოდის მასალები გაასაჯაროვეს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატებმა გელა ნიკოლეიშვილმა და მალხაზ ჯანგირაშვილმა განაცხადეს, ისინი არ გამორიცხავენ, რომ არსებული მართლმსაჯულების პირობებში საქმის გადახედვის თაობაზე სასამართლოში შეტანილი საჩივრის დაუშვებლად ცნობა მოხდეს.

„იძულებული ვხდებით, საზოგადოება ჩავაყენოთ დეტალურად საქმის კურსში. ვასაჯაროებთ მასალას, სადაც წარმოდგენილია ნოდარ გვიჩიანის ჩვენებები, ასევე მსჯავრდებულ ნიკა ჩემიას ალიბის დამადასტურებელი მასალები და მოკლული ნიკა ლომინაძის დაზიანებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია“,— აღნიშნა ჯანგირაშვილმა.

ნიკოლაიშვილი კი მიიჩნევს, რომ უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომელიც გია გვიჩიანის ბრალეულობას გამორიცხავს.

მათ გია გვიჩიანის ღია წერილიც გაავრცელეს, სადაც მსჯავრდებული ნიკა ლომინაძის მამას მოუწოდებს, საჯაროდ გამოაქვეყნოს ერთი მტკიცებულება მაინც, რომელიც მის დანაშაულზე მიუთითებს.

,,თელასის“ ფინანსური მენეჯერი ნიკა ლომინაძე 2002 წელს მოკლეს. მის მკვლელობაში ბრალდებულს გია გვიჩიანს უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი.

მედიანიუსი

# სოფლის მეურნეობის დაფინანსება სარისკოა

როლანდ ხოჯანაშვილი
,,ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფერმერად ითვლება, რადგან მიწის გარკვეულ ფართს ფლობს. მიწის პრივატიზებისას დაშვებული იქნა რამდენიმე შეცდომა, რაც ძირითადად უარყოფითად აისახა მცირემიწიან რეგიონებში (გურია, აჭარა, იმერეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი). ეს შეცდომა ძირითადად გამოიხატა იმაში, რომ საპრივატიზაციო კომისიებმა მიწის ნაკვეთები მცირე ფართობებით გადასცეს მოსახლეობას. დაახლოებით 700 ათასი მიწის მესაკუთრიდან უმეტესი მცირემიწიანია და ფერმერული მეურნეობისათვის შეუფერებელ სიტუაციაში არსებობენ. კახა ბენდუქიძის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამდენი გლეხის არსებობა თავისტკივილი თუ პრობლემაა, საფუძველს მოკლებული არაა. მცირემიწიანობა ფერმერული მეურნეობისათვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია. შესაძლოა, ფერმერს ჰქონდეს რამდენიმე ნაკვეთი, რომელიც ჯამში იქნება სოლიდური ქონება, მაგრამ დანაწევრებული სახით ის სამეურნეო საქმიანობისათვის წამგებიანია.

მილიარდიანი ფონდის შექმნა, რომელიც ,,ქართული ოცნების“ მთავარი გზავნილი იყო მიწათმფლობელებისათვის არჩევნებამდე, რამდენადმე იმედგაცრუების ფორმატით წარედგინა ფერმერებს. ეს ფონდი მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის ძირს დაწევას აფინანსებს, თუმცა ესეც შეღავათია, რადგან დაახლოებით 15%-ის ნაცვლად 1-3% უნდა გადაიხადოს კრედიტში ფერმერმა. ნებისმიერ ფერმერს კი ეგონა, რომ მილიარდიანი ფონდიდან გამოიტანდა სასურველ თანხას გარანტიის არსებობით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით გლეხებს ( და არა მარტო მათ) არც ისე კარგი წარმოდგენა აქვთ, რადგან სოფლის მეურნეობა ბევრი რისკის შემცველია და ხშირად წარმოდგენით მიღებული სარგებლის ნაცვლად ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ დამფინანსებლის გასასტუმრებლად ოპტიმისტმა დამწყებმა ფერმერმა საცხოვრებელიც კი დაკარგა.

საქართველოში არსებობს გამოთქმა: ბანკი ხალხის მტერია. რამდენად შეიცვლება ეს სტერეოტიპი, ამას მალე დაინახავს მოსახლეობა. უმკაცრესი კონკურენციის პირობებში გამდიდრებული ბანკები მოსახლეობასთან კაბალური ურთიერთობით გამოირჩეოდნენ, ამჯერად ბანკები ისევ მოგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, თუ ძირითადად ხანგრძლივ სესხების გაცემაზე იქნენ ორიენტირებულნი. ორმაგი გარანტია, რომელსაც ფინანსური ორგანიზაცია ღებულობს გლეხისა და ფონდისაგან, ბანკს მშვიდ გარემოში მიაწვდის მოგებას. უმარტივესი გათვლა რომ გავაკეთოთ, ადვილად მიხვდება მკითხველი, რა შემოსავალი ექნება ბანკს სოფლის მეურნეობის დაფინანსების შემთხვევაში. სესხის გაცემის დროს წლიური 10-12 % ფონდიდან ექნება მოგების სახით, ხოლო გლეხიდან–1-3%. ბანკისათვის სოლიდური მოგებაა (არ დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს არა ათასებთან, არამედ ბევრად მეტ თანხებთან). იმის კალკულაცია, რომ ფონდის თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი საბანკო სექტორს მოგების სახით გადაეცემა, დასაფიქრებელი საკითხია. შესაძლოა, შემომედაოს ვინმე, რომ 5 ათას ლარამდე ბანკი გასცემს უპროცენტო სესხს და ამის საკონპესაციოდ დიდი თანხების გაცემისას უნდა მოხდეს ფინანსური ორგანიზაციების შემოსავლის გაზრდა, მაგრამ ვისაც სოფლის მეურნეობასთან აქვს კავშირი, იცის, რომ ასეთი მცირე თანხა ფერმერს არ მოუტანს ისეთ სარგებელს ასევე მცირე დროში, რომ ექვს თვეში დააბრუნოს. მაშასადამე, გლეხების უმეტესობა ეცდება მეტი სესხის აღებას და ფონდისათვის გახდეს ტვირთი. 5 ათასიანი სესხის ამღებთა რაოდენობაში შესაძლოა მოვიაზროთ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში ჩაუხედავი ადამიანები, რომლებიც უფასო სესხის აღებით მოიხიბლებიან. ასეთი, მწამს, რომ ძალიან ცოტა იქნება. ხომ არ აჯობებდა, რომ ფონდს თავად გაეცა დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხები კარგად გათვლილი პროექტებისათვის? ასეთ დროს, შესაძლოა, იფიქროს მიწის მესაკუთრემ მთავარი რესურსის, მიწის, გაფართოებასა და შეძენაზე.

ჩავთვალოთ, რომ ბანკებმა გასცა დაახლოებით იმდენი თანხა, რამდენიც იქნება მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან, აგროკლიმატურმა პირობებმაც გაამართლოს და ფერმერმა მიიღოს სასაქონლო პროდუქცია, გათვლილი არის გასაღების ბაზარი? საქართველოსთვის ერთ-ერთი ძირითადი აგროკულტურა ვაზი საკმაო პროდუქტიულობით გამოირჩევა, დაუფინანსებელი მევენახეები ღებულობდნენ იმდენი რაოდენობის ყურძენს, რომ მისი გასაღება ჭირდა. წახალისებული მევენახეობის პროდუქციის გასაღება როგორ მოხდება? მართალია, ქართული ღვინო უბრუნდება ტრადიციულ რუსულ ბაზარს, მაგრამ იქ არანაკლები ნიშა აქვს ავსტრალიის, არგენტინის, ჩილის და საფრანგეთის ღვინოსა და ალკოჰოლურ სასმელებს. ნებისმიერი სხვა პროდუქცია, რომლის სიჭარბეც იქნება ქართულ ბაზარზე, ან დიდი ფასდაკლებით უნდა გაიყიდოს, ან კიდევ დასავლური სტანდარტებით გამზადებული უნდა გავიდეს მსოფლიო ბაზარზე, რაც ამ ეტაპზე თითქმის შეუძლებელია. კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქცია თავისთავად შეამცირებს იმპორტს, მაგრამ ქართული ბაზარი არც ისე დიდი მსყიდველუნარიანია და ეს ფაქტორი გონიერ მეწარმეს ყოველთვის დააფიქრებს.

ექსტენსიური მეურნეობის მიმდევარი ფერმერებისათვის (ასეთებია უმეტესად საქართველოში) ტრადიციულ-კონსერვატორული სიმდგრადე არის დამახასიათებელი. ჯავახეთსა და მესხეთში გლეხებს რატომღაც ურჩევნიათ დათესონ ხელთ არსებული დაბალპროდუქტიული კარტოფილი, ვიდრე კილოგრამ სათესლე მასალაში გადაიხადონ 3 ლარამდე თანხა. ეს არა მარტო მემცენარეობაში, არამედ მესაქონლეობაშიც ფეხმოკიდებული რეალობაა. ინფორმაციული წვდომა რენტაბელურ ჯიშებზე აუცილებელია, თუმცა ამ რენტაბელური ჯიშების შეძენის საშუალებაც უნდა ჰქონდეს ფერმერს. საქართველოს აგროკომპლექსის სპეციალისტების უმრავლესობა ვერ უწყობს ფეხს მსოფლიო მიღწევებს, მით უფრო, ფერმერთა აბსოლუტური უმრავლესობა ნოვაციებისადმი ინერტულია.

რისკი ყველაფერს ახლავს, მაგრამ ვინც არ რისკავს, ის ვერასდროს აღწევს შედეგსო. საქართველო რომ უნდა ამართლებდეს ძველბერძნულ სახელწოდებას (გეორგია– მიწათმოქმედთა ქვეყანა), ეს უდაოა. ქართულ აგროსექტორში გამოცოცხლება ქვეყანას ნამდვილად უქმნის ენთუზიაზმის საფუძველს. აღდგომა და ხვალეო, სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი სწრაფად გვიჩვენებს თავის სახეს, იქნება თუ არა მომგებიანი.

## ნინო ბურჯანაძე: „საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ზედმეტი აჟიოტაჟი იყო ატეხილი“



პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ზედმეტი აჟიოტაჟი იყო ატეხილი და მისი მოგვარება სხვა გზით – პრეზიდენტის იმპიჩმენტითაც შეიძლებოდა.

„საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ზედმეტი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. პრობლემის მოგვარება პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყებითაც შეიძლებოდა. „ქართულ ოცნებას“ იმპიჩმენტის განსახორციელებლად ხმების საკმარისი რაოდენობა და მხარდაჭერა ჰქონდა. რეალურად კი, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქვეყნის შიგნით ხალხს დაანახა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მათ გარეშე არ მიიღება, ქვეყნის გარეთ კი დამატებითი ქულები დაიწერა“ – განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

**ნიუსპრესი**

## ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს სწორედ იმის ეშინოდა, რომ მე პროქართული ორიენტაციის პოლიტიკოსი ვარ“

პოლიტიკური პარტია „დამოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, ახლო მომავალში იმ მასალა-დოკუმენტაციის გამოქვეყნებას გეგმავს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების შანსზე უარის თქმას ადასტურებს.

როგორც ნინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, მიხეილ სააკაშვილს, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა შესთავაზა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დასალაგებლად ნინო ბურჯანაძის რესურსი გამოეყენებინა, თუმცა სააკაშვილმა ეს ინიციატივა დაბლოკა.

„მე ვგეგმავ ეს მასალები ახლო მომავალში გავასაჯაროო და ყველა დარწმუნდება, რომ მიხეილ სააკაშვილს რუსეთთან ურთიოერთობის მოგვარება არ უნდოდა. ასევე არ უნდოდა, რომ ამ პროცესში მე მიმეღო მონაწილეობა. მას აწყობდა, რომ ჩემთვის პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსის იმიჯი შეექმნა, სინამდვილაში კი ეშინოდა იმის, რომ მე მუდამ პროქართული პოზიციის პოლიტიკოსი ვიყავი და ეს სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა“ – განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

ნინო ბურჯანაძე მიხეილ სააკაშვილზე საუბრისას 2008 წლის მოვლენებსაც იხსენებს და აცხადებს, რომ პრეზიდენტმა ქვეყანა წინასწარ წაგებულ ომში ჩართო და გაკვირვებას გამოთქვამს, თუ რატომ არ ინტერესდება ამ საქმის გამოძიებით ახალი ხელისუფლება.

**ნიუსპრესი**

## შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს. ამის შესახებ მან ჭადრაკის სასახლეში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე განაცხადა.

შალვა ნათელაშვილის თქმით სააკაშვილისა და ივანიშვილის კოჰაბიტაცია შეხმატკბილებაში გადაიზარდა, ქვეყანა კი უფსკრულის პირას იმყოფება. ამიტომ, პირველი ლეიბორისტის განცხადებით, ის თავს უფლებას ვერ მისცემს უმოქმედოდ იყოს.

ნათელაშვილის განცხადებითვე, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ის ყველა სოფელში გეგმავს ჩასვლას.

**ნიუსპრესი**

## სტიქიით დაზარალებული რაიონები დამატებით ტრანსფერს მიიღებენ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სტიქიით დაზარალებული მუნიციპალიტეტები დამატებით ტრანსფერებს მიიღებენ.

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა დაახლოებით 6 მილიონ ლარს შეადგენს. შესაბამისად, ყველა დაზარალებული მუნიციპალიტეტი, აღნიშნული თანხის ფარგლებში, დამატებით ტრანსფერს მიიღებს. თანხის გაცემის ოდენობა კი იმის მიხედვით განისაზღვრება, რომელ რაიონში რა მდგომარეობაა. ასევე შეივსება ის დანახარჯიც, რომელსაც ტრანსფერამდე ადგილობრივი ბიუჯეტები გასწევენ.

**ნიუსპრესი**

# ლადო პაპავა: „სააკაშვილის მხრიდან საფრთხე ყოველთვის იარსებებს“

შორენა კოწოწაშვილი

**პროფესორი ლადო პაპავა არ იზიარებს ნაციონალების შეფასებას, თითქოს ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა შეჩერდა.**

რა შეცდომა არ უნდა დაუშვას „ქართულმა ოცნებამ“, რა ტიპის ადამიანზე უნდა გააკეთოს ივანიშვილმა აქცენტი საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევისას და საჭიროებს თუ არა მთავრობა საკადრო ცვლილებებს – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ ლადო პაპავასთან.

***– ბატონო ლადო, ერთ-ერთმა პირველად თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველოში ორხელისუფლებიანობაა და რომ ეს გარკვეულ ეტაპზე თავის შედეგს გამოიღებს. რას იტყვით საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სარეიტინგო კენჭისყრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, რომლის შემდგომაც პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მას პოლიტიკური ველიდან ვერავინ გაიყვანს და რომ ნაცმოძრაობა კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა.***

– საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებმა აჩვენა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი. პირველი, ბაქიაობა და ტრაბახი „ქართული ოცნების“ მხრიდან, როცა იძახდნენ, 120 ხმას ვაკონტროლებთო. პოლიტიკაში ასეთი რამ მოსულა, მაგრამ, თუ ეს არ ამართლებს, ეს ცოტა ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ამომრჩეველზე. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს „ქართულ ოცნებას“ ჩვენს საზოგადოებაში და ეს მხარდაჭერა, სულ ცოტა, იმ დრომდე მაინც გაგრძელდება, სანამ ნაციონალური საფრთხე ქვეყანაში არსებობს. ეს საფრთხე კი, სულ ცოტა, მანამდე იარსებებს, სანამ სააკაშვილს ქვეყნის მართვის სადავეები უპყრია ხელთ, თუნდაც ნაწილობრივ მაინც. მეორე მხრივ, აჩვენა, თუ როგორი ბრძოლისუნარიანები არიან ნაციონალურ მოძრაობის ძველი სახეები, მათ შორის კორუმპირებული თუ კრიმინალური წარსულის მქონენი და როგორი შეკრულები არიან. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც სენტიმენტებია. რეალურად ჩვენ მივიღეთ მაინც პოზიტიური შედეგი. ეს ნიშნავს იმას, არანაირი პოლიტიკური ინტერესი მიხეილ სააკაშვილს, რომ საპარლამენტო არჩევნებით გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, აღარ ექნება. სწორედ ამას მიესალმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც და ჩვენ ყველამ დავინახეთ, როგორ აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი. ეს მისასალმებელია! ამიტომ, შედეგით თუ ვიმსჯელებთ ანუ იმით, რაც პირველ რიგში სჭირდება ქვეყანას, კონსტიტუციაში ცვლილებების მიღება მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. აშკარაა, რომ ქვეყანა გადაურჩა ვადამდელი არჩევნებით გამოსაწვევ საფრთხეებს. ეს კი ყველაზე მთავარია!

***– რა აძლევს მაშინ სტიმულს ამ შემთხვევაში სააკაშვილს, ომახიანად განაცხადოს, რომ მას პოლიტიკური ველიდან ვერავინ გაიყვანს?***

– სააკაშვილი შეიძლება შეეცადოს, რომ დარჩეს ნაციონალური მოძრაობის „აიათოლა ჰომეინად“ ანუ იყოს პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ, დღეს თუ სააკაშვილს კიდევ ჰყავს მხარდამჭერები, ჰყავს იმიტომ, რომ არის პრეზიდენტი და ხელისუფლების გარკვეულ სეგმენტს აკონტროლებს. როცა ის ხელისუფლებას ჩამოშორდება, ბევრ მხარდამჭერს დაკარგავს, ხოლო მისი ყალბი რიტორიკა იმდენად გაცვეთილია, რომ ძნელი წარმოსადგენია რა შეცდომები უნდა დაუშვას „ქართულმა ოცნებამ“, რომ სააკაშვილი ისევ გახდეს პოპულარული. ახლა ის, რომ კაცი რჩება პოლიტიკაში, პოლიტიკაში დარჩენა მაინცდამაინც თანამდებობაზე დარჩენას არ ნიშნავს. შეიძლება დარჩეს პარტიის თავმჯდომარედ, თუ ეს პარტია ფსევდოპარტიად არ დარჩა. ბევრი პარტია ვიცით, რომელსაც მხოლოდ თავმჯდომარე ჰყავს და მეტი არავინ. შეიძლება, ეს ბედი გაიზიაროს ნაცმოძრაობამაც, თუმცა არა უახლოეს მომავალში. ყველაზე კარგად ნაცმოძრაობის რესურსი გამოჩნდება მათ მიერ დაგეგმილ 19 აპრილს, ამიტომ, მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მათ ეს მანიფესტაცია სხვა დროისთვის გადადონ.

***– თქვენ გადადებაზე საუბრობთ, პოლიტიკოსების ნაწილის აზრით კი ამ დღეს ნაციონალები შეგნებულ პროვოკაციაზე წავლენ, რათა ღარიბაშვილის უწყების სისუსტე გამოაჩინონ.***

– გამიზნულ პროვოკაციას აზრი ექნებოდა, თუ სააკაშვილს მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნებოდა, რადგანაც დღის წესრიგიდან ეს სცენარი მოიხსნა, ამიტომ, ნაკლებ სავარაუდოდ მიმაჩნია, პროვოკაციების შესაძლებლობა იყოს და ამით რაღაც ხეირი ნახონ ნაციონალებმა.

***– ბოლომდე განეიტრალებულია სააკაშვილი? პოლიტიკოსების ნაწილი მასში, როგორც ქვეყნის მთავარსარდალში, კვლავ საფრთხეს ხედავს.***

– საფრთხე სააკაშვილის მხრიდან ყოველთვის იარსებებს. საფრთხე არ არსებობს ნორმალური, მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი ადამიანების მხრიდან. ძნელია, სააკაშვილი ნორმალურ ადამიანთა ჯგუფს მიაკუთვნო და ჩათვალო, რომ მისი საქციელი არის პროგნოზირებადი. თუმცა, ის არც ისეთი ბრიყვია, როგორც ბევრს გაუხარდება, რომ იყოს, მაგრამ ის, რომ პროგნოზირებადი არ არის და ხშირად არაპროგნოზირებად ნაბიჯებს გადადგამს, ვიცით, თუმცა მისი რესურსი დღეს აშკარად შემცირებულია.

***– თქვენ თქვით, თუ შეცდომებს დაუშვებს „ქართული ოცნებაო“. ამ ექვსთვიანი პერიოდის შეცდომებიდან რას გამოყოფდით?***

– არ მერიდება ვთქვა, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, მე მაქვს განცდა, რომ ეს მთავრობა არის ჩემი მთავრობა. ალბათ, ჩემსავით ეს განცდა ბევრს აქვს საქართველოში, იქიდან გამომდინარე, რომ იმ 9-წლიანი ბოროტების შემდეგ რაღაც იმედი გაგვიჩნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მინისტრის საქმიანობას ერთნაირად წარმატებულად ვთვლიდე, მაგრამ მთლიანობაში მე ეს განცდა მაქვს. საზოგადოების დიდ ნაწილს გვინდა, რომ ეს მთავრობა იყოს წარმატებული. ბიძინა ივანიშვილს აქვს ის რესურსი, რომ გარკვეულწილად გადაადგილებები გააკეთოს, გააძლიეროს შედარებით სუსტი რგოლი და კადრები ჩაანაცვლოს. ეს კი ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია.

***– უკვე საკადრო ცვლილებებს მოითხოვს მთავრობა?***

– ხუთი თვე გავიდა და ეს კარგი დროა არსებითი შეფასებების გასაკეთებლად. ვხედავთ, რომ მინისტრების ნაწილი აქტიურად აჩვენებს თავის სახეს, ცდილობენ, მეტ-ნაკლებად წარმატებით გაუძღვნენ თავიანთ სფეროებს და ხშირად ეს არცთუ ცუდად გამოსდით. მაგრამ გვაქვს ისეთი სამინისტროები, რომლებიც საერთოდ არ ჩანან. შეიძლება ეს მინისტრები რაღაცას აკეთებენ, მაგრამ, თუ ეს არც ჟურნალისტმა იცის და არც ექსპერტმა, ხალხმა როგორ გაიგოს? ჩემი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა არ დაუშვას და საპრეზიდენტო კანდიდატი შეარჩიოს ისეთი, რომელიც ყველაზე კარგი იქნება იმისთვის, რომ იყოს ქვეყნის გამაერთიანებელი. არ იყოს აქცენტი გაკეთებული ისეთ ფიგურებზე, რომლებიც, სულ ცოტა, ღიმილს გამოიწვევს საზოგადოებაში ანდა უფრო უარესი – გულგატეხილობას. ეს პიროვნება შეიძლება დღეს არც პარლამენტის წევრი იყოს, არც მთავრობის, შეიძლება, პოლიტიკოსიც არ იყოს, იმიტომ რომ, კარგად ვიცით, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს აღარ ექნება ის ფუნქციები, რომელიც დღევანდელ პრეზიდენტს აქვს. აქედან გამომდინარე, მთავარია, ეს პიროვნება იყოს ქვეყნის გამაერთიანებელი.

***– პოლიტიკოსები, რომლებსაც უცხოელებთან აქტიური შეხება აქვთ, ამბობენ, რომ დასავლეთში ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად კახი კალაძე სახელდება, ქვეყნის შიგნით კი სალომე ზურაბიშვილზე კეთდება აქცენტი.***

– ვეჭვობ, რომ ქალბატონი სალომე იყოს, იმიტომ რომ, როგორც ვიცი, მას არა აქვს ის ელემენტარული მოთხოვნები დაკმაყოფილებული, რაც კონსტიტუციაში წერია მაღალი თანამდებობის დასაკავებლად. ის ბოლო 5 წელი საქართველოში ნამდვილად არ ცხოვრობს. ის, რომ კონსტიტუციაში ამას შეცვლიან სპეციალურად ქალბატონი სალომესთვის, ნაკლებ სავარაუდოა. რაც შეეხება ნებისმიერ სხვა კანდიდატს, ამიტომ ვამბობ, რომ ეს კანდიდატი არ უნდა იწვევდეს ხალხში არც ირონიას და არც გაღიზიანებას. არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ საქართველოში არ არის საკმარისი კადრები. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი სპეციალისტები ყველა სფეროში და გვყავს სოლიდური სახეები, რომლებსაც ექნებათ საზოგადოების ნდობა. აქ მე მაინცდამაინც მსახიობებსა და კულტურის სხვა მოღვაწეებს არ ვგულისხმობ.

***– თქვენ ახსენეთ, ვნახოთ, ხელისუფლება რამდენად დაუშვებს შეცდომებს. თუმცა ივანიშვილიც და უსუფაშვილიც დღეს საუბრობენ იმაზე, რომ პარლამენტში პოლიტიკოსების სიმცირეა.***

– მე „ქართული ოცნების“ ფრაქციის არაერთ წარმომადგენელთან მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა. მათ საუბარში ხშირად უთქვამთ, რომ პარლამენტში ეკონომისტების აშკარა დეფიციტია, მაშინ როცა იურისტები საკმარისად ჰყავთ. ახლა ხდება ნომინაცია სამ ვაკანსიაზე და ისევ იურისტები წარადგინეს დეპუტატობის კანდიდატად იმ დროს, როცა იურისტების პრობლემა პარლამენტში ისედაც არ არის. ისეთი განცდა მაქვს, რომ ვილაცას „ქართულ ოცნებაში“ ეკონომისტები უზრალოდ სძულს. ამჟამად პარლამენტში გამოცდილი ეკონომისტი დათო ონოფრიშვილია. პარლამენტის წევრი იყო ნოდარ ხადურიც, თუმცა პარლამენტის შეკრებიდან რამდენიმე დღეში ის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაიყვანეს.

***– როგორც ექსპერტი, სად ხედავთ ახალი ხელისუფლების სისუსტეს? სოციალურ ქსელებში ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ივანიშვილს კირვალიძის მოხსნას ურჩევს.***



– აშკარაა, რომ საკმაოდ დიდია დესტრუქციული, ნაციონალების მიერ კონტროლირებადი ძალები შემორჩენილი სამთავრობო სტრუქტურებში. ის ხალხი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა და ბლოკავდა საქართველოს და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებას, ზუსტად იმავე ხალხს დღეს ევალება ამ რეჟიმის დამყარების დაჩქარება. არ იმუშავებს ხალხი ამაზე კვალიფიციურად, რად უნდა ამას ლაპარაკი? ანუ „ბენდუკების“ ქსელი საქართველოს მთავრობაში ისევ ძლიერია. ის ხალხი, რომელიც პროკურატურაში დანაშაულს ჩადიოდა, ისევ თანამდებობაზე რჩება.

***– ანუ შუა რგოლის თანამდებობებზე დატოვებამ არ გაამართლა?***

– ერთხელ ბატონ კახა კახიშვილს ჰკითხეს, სად ვიპოვოთ ახალი პროკურორებიო, მან კი მარტივად უპასუხა: ეს შედარებით მაღალი რგოლი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულში, გაუშვით და ქვედა რგოლი დააწინაურეთო. ის ხალხი, ვინც ეკონომიკური ბლოკის სამინისტროებში ბენდუიზმის იდეოლოგიას ატარებდა, დღეს ქცევას არ შეიცვლის. რა მნიშვნელობა აქვს, მინისტრი რომ სხვა მოვიდა, თან ეს ის ხალხი არ არის, რომლებიც პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. 5 თვის განმავლობაში რომ ეს ასე იწელება, ეს ქვეყნისთვის სასიკეთო ნამდვილად არ არის.

***– ბატონო ლადო, ბოლო დროს აქტიურად ისმის განცხადებები, რომ ივანიშვილი გარკვეულ იზოლაციაშია, მასთან ყველა საკითხი არ მიდის და რომ ყველა პოლიტიკური ძალა კოალიციიდან ცდილობს, თავისი კადრები შეაჩეჩოს. ხშირად ამას ექსპერტ გია ხუხაშვილსაც კი აბრალებენ.***

– ასე ამბობდნენ სააკაშვილზეც. თუ ბიძინა ივანიშვილიც იმავე მდგომარეობაშია, ეს მისი პრობლემაა. თუმცა ბატონი ბიძინა ხშირად ხვდება ექსპერტებს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც პროფესიულად ფოკუსირებული შეხვედრებია. ივანიშვილი აჩვენებს უფრო მეტ გახსნილობას. ჟურნალისტებთან შეხვედრა ავიღოთ – მათთან სამუსაიფოდ სამ საათს პოულობს. ჩვენთვის ეს მოულოდნელია, ამას შეჩვეული არ ვართ. ამიტომ, თუ ივანიშვილი მაინც არის რაღაცებიდან იზოლირებული, მოდით, ამას ნურავის, ნურც გია ხუხაშვილს დავაბრალებთ. ეს მხოლოდ ბატონი ბიძინას არჩევანია, ისე, როგორც თუ სააკაშვილი იყო და რჩება რაღაცისგან იზოლირებული, ამას გიგა ბოკერიას ან ლევან რამიშვილს ნუ დავაბრალებთ.

***– ამჩნევთ, რომ ექსპერტებთან საუბრის შემდეგ ივანიშვილი რეალურ ნაბიჯებში ითვალისწინებს ექსპერტების პოზიციას?***

– მე ყველაფრით კმაყოფილი არ ვარ, თუმცა არ ვთვლი, რომ დღეს ჩემს ემოციებზე უნდა ვისაუბრო. მთლიანობაში დადებითად ვაფასებ ექსპერტებთან შეხვედრას. ივანიშვილი აჩვენებს, რომ ის გახსნილი პოლიტიკოსია.

***– დაბოლოს, ბატონო ლადო, მართლაც შეჩერდა ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა, როგორც ნაციონალები აცხადებენ?***

– ამ წლის ორი თვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ გარკვეული წინსვლა არის. მე ვერ ვილაპარაკებდი, რომ ეს უკვე ტენდენციაა. ტენდენცია რომ ვთქვა, სულ ცოტა, ორი კვარტალი მაინც უნდა გავიდეს, მაგრამ პოზიტიური ნიშნები გამოჩნდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება სიტუაცია, თან არ დაგვავიწყდეს, რომ დესტრუქციული ძალები ყველა სამინისტროშია შემორჩენილი.

# გიორგი მარგველაშვილს გრიგოლ ვაშაძის განცხადებები კომიკურად ეჩვენება

ნათია ხურცილავა

ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებმა კომენტარები იმ მიმოწერაზე გააკეთეს, რომელიც 2008 წელს გრიგოლ ვაშაძესა და რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ მინისტრს შორის შედგა.

2008 წლის 27 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელიც ექსპერტმა გია ხუხაშვილმა საჯარო გახადა, მაშინდელმა კულტურის მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თავის რუს კოლეგას წერილი მისწერა. წერილში გრიგოლ ვაშაძე რუსეთის ფედერაციას ქართველი კულტურის მოღვაწეების მონაწილეობით მოსკოვში კულტურული ღონისძიებების გამართვას სთავაზობს.



აღნიშნულ მიმოწერას ადასტურებს ვაშაძე, თუმცა იქვე კითხვას სვამს: „რომელმა კლინიკურმა იდიოტმა გადასცა ეს წერილი მეორე კლინიკურ იდიოტს? რადგან ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იყო. გრიგოლ ვაშაძე გია ხუხაშვილის მიმართ გამოძიების დაწყებას ითხოვს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, კომიკურია, როცა ყოფილი „დვაჟდი“ მინისტრი ბედავს იმის თქმას, რომ გია ხუხაშვილის წინააღმდეგ საქმე უნდა აღიძრას.

ეს განცხადება მარგველაშვილმა გია ხუხაშვილის მიერ 2008 წელს კულტურის მაშინდელი მინისტრის გრიგოლ ვაშაძის მიერ თავისი რუსი კოლეგასადმი გაგზავნილი წერილის კომენტირებისას გააკეთა, რომლის თანახმად, ვაშაძე რუს კოლეგას კონცერტების ჩატარების თხოვნით მიმართავდა.

– ეს წერილი მიუთითებს, რომ საქართველოში აქტიური სამოქალაქო საზოგადოება არსებობს. მისი შინაარსიდან ჩანს, რა დაბალ დონეზე მიმდინარეობდა დისკუსია. თუ დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო“ არ აქვს, რატომ უნდა ყოფილიყო ის დამალული?! ყოფილი „დვაჟდი“ მინისტრი, რომელიც რუსეთის მოქალაქე იყო, როგორ ბედავს იმის თქმას, რომ ხუხაშვილის წინააღმდეგ საქმე უნდა აღიძრას, ეს ძალიან კომიკურია. ვურჩევ, გაიხსენოს, რომ იგი „სხვა ქვეყნის“ კულტურის მინისტრსაც კი არ სწერდა, რადგან ჯიბეში რუსეთის პასპორტი ედო. ვურჩევ, სანამ სხვაზე საუბარს დაიწყებს, თავისი პასპორტი გადაშალოს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას განცხადებით, მსგავსი წერილები კულტურის სამინისტროში კიდევ არის. მინისტრის თქმით, არც ერთ წერილს არ ადევს „გრიფით საიდუმლო“ და, შესაბამისად, ის საჯაროა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის განცხადებით, მიუღებელია ორმაგი სტანდარტი.

– ადამიანები, რომლებიც დღეს კულტურის სამინისტროს რუსეთთან ურთიერთობის გამო აკრიტიკებენ, აგვისტოს ომიდან სამი თვის თავზე თავად სთხოვდნენ ურთიერთობის გაღრმავებასა და გაფართოებას, – აცხადებს ოდიშარია.

გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ის არ აპირებს დანარჩენი წერილების გამოქვეყნებას, რომელიც სამინისტროში აქვთ. თუმცა მინისტრი აცხადებს, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, აღნიშნული მიმოწერის შინაარსი ცნობილი იყოს მათთვის.

– მსგავსი წერილები მართლაც არის. პირადად მე და კულტურის სამინისტრო მათ გამოქვეყნებას არ ვაპირებთ, მაგრამ საზოგადოებისა და ანალიზისთვის ეს წერილები, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება. მე მინდა, მოკლედ ვთქვა, რომ იმავე შინაარსის წერილებია, როგორიც გუშინ გამოქვეყნდა, სადაც კულტურულ ურთიერთობებზეა საუბარი, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ადამიანები, რომლებიც დღეს აკრიტიკებენ კულტურის სამინისტროს ანსამბლებსა და თეატრებს რუსეთთან ურთიერთობისთვის, აგვისტოს ომიდან სამი თვის თავზე თავად სთხოვდნენ რუსეთს, ურთიერთობა გაღრმავებულიყო და გაფართოებულიყო, – განაცხადა ოდიშარიამ.

კულტურის მინისტრის განმარტებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წერილების გამოქვეყნება არ იგეგმება, თუმცა საზოგადოებას უფლება აქვს, ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდეს.

– სანამ კარგად არ შევისწავლით, იქამდე გამოქვეყნებაზე ვერაფერს გეტყვით, ჯერ მათ ანალიზი უნდა ჩაუტარდეს და მერე შეიძლება საუბარი იმაზე, უნდა გავასაჯაროოთ თუ არა. რაც შეეხება ვაშაძის განცხადებას გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, მე მინდა გითხრათ, რომ ამ წერილებს გრიფი „საიდუმლო“ არ ედოთ, თუმცა საიდუმლო მანდ ისედაც არაფერი იყო, – უთხრა ჟურნალისტებს ოდიშარიამ.

აღნიშნულ მიმოწერას, მინისტრების გარდა, პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატებიც გამოეხმაურნენ.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, სამწუხაროდ, სხვა არაერთ შოკისმომგვრელ მიმოწერას ვნახავთ.

# კახა კალაძე: „დენი 0.5 თეთრით შემცირდა“

## გაიზარდა თუ არა მინისტრების ხელფასი

ნათია ხურცილავა

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მინისტრებმა ჟურნალისტებთან კომენტარები გააკეთეს.

კვლავ აქტუალურია მინისტრთა კაბინეტის ხელფასის საკითხი. შეუმცირდათ მინისტრებს ხელფასები წინა მინისტრებთან შედარებით თუ პირიქით?

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის მტკიცებით, მოქმედი მინისტრების ხელფასები ძველი მინისტრების 2012 წლის შემოსავალთან შედარებით შემცირდა. 2011 წელს მინისტრების საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისთვის მიღებული დასაბეგრი საშუალო შემოსავალი (ხელფასი და პრემია) შეადგენდა 7 372 (ხელზე 5898) ლარს, რაც 503 ლარით ჩამოუვარდება 2013 წლიდან მინისტრის საშუალო ყოველთვიურ დასაბეგრ შემოსავალს ანუ 7 875 ლარს (ხელზე დ 6 300 ლარი).

მისივე ინფორმაციით, გამომდინარე იქიდან, რომ ძველი მთავრობის მინისტრებს 2012 წლის ფინანსური დეკლარაციები ჯერ შევსებული არ აქვთ, მათი ყოველთვიური საშუალო შემოსავლის განსაზღვრა ზუსტად ვერ ხერხდება, მაგრამ 2012 წელს, იმ მინისტრების, რომელთა შესახებაც „აიდიეფმა“ მოიპოვა ინფორმაცია, საშუალოდ მიღებულმა ყოველთვიურმა შემოსავალმა შეადგინა 6913 (ხელზე 5530) ლარი.

მიუხედავად ამისა, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ირწმუნება, რომ 2012 წელთან შედარებით, მოქმედ მინისტრებს ხელფასები შეუმცირდათ.

– მე გეტყვით, რომ ფინანსთა მინისტრის საშუალო ხელფასი 2012 წელს იყო 12 000 ლარი, ახლა არის 6 300 ლარი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ხელფასი ყოველთვე იყო 14 000 ლარი, ახლა კი 6 300 ლარია. იყო იქ ორი მინისტრი, რომელიც გაზრდილ ხელფასებს არ იღებდა. 2011 წლის მონაცემები ხაზინას არ აქვს ავტომატიზებული, ამიტომ ჩვენ შევადარეთ 2012 წელს, რაც აბსოლუტურად ბუნებრივია. მაისში ხუთ მინისტრს პრემიის სახით აღებული აქვს 27 000-27 000 ლარი. ძველი მინისტრები, ალბათ, თვითონ გააკეთებენ დეკლარირებას, მაგრამ, მერწმუნეთ, რასაც გეუბნებით, აბსოლუტურად სწორია, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

სახელმწიფო მინისტრების ყოველთვიური შემოსავალი დანამატთან ერთად 7 875 ლარია.

მინისტრებისათვის (სახელმწიფო მინისტრებისათვის) დანამატის დაწესების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზ53 ბრძანების თანახმად, მინისტრებს (სახელმწიფო მინისტრებს) საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესდათ დანამატი თითოეულს თვეში 4 335 ლარის ოდენობით.

პრემიერის პრესსამდივნოს ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, მთავრობა უარს ამბობს ყოფილი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, როდესაც მინისტრები ყოველ თვეში ან თვეში რამდენჯერმე პრემიებს თავადვე იწერდნენ და მინისტრები ყოველთვიურად ყოველგვარი სახელფასო დანამატით ხელზე 6 300 ლარს აიღებენ.

გარდა ამისა, მინისტრები პრემიას წელიწადში ერთხელ, პრემიერის გადაწყვეტილებით მიიღებენ.

გამომდინარე იქიდან, რომ 6 300 ლარს მინისტრები ხელზე იღებენ, ლოგიკურია, რომ მათი ხელფასი 7 875 ლარია (ანუ 7 875 ლარის 20% 6 300-ის ტოლია).

ვინაიდან ივანიშვილის ბრძანებით საქართველოს მინისტრები ყოველ თვე დანამატის სახით 4 335 ლარს მიიღებენ, გამოდის, რომ მათი ხელფასი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, 3 540 ლარია.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ელექტრომატარებლების საფასო პოლიტიკა უცვლელი დარჩება. როგორც ჟურნალისტებს ჯალაძემ განუცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით ხელშეკრულება უკვე გაფორმდება.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, ელექტროენერგიის არსებული ტარიფის შენარჩუნების თაობაზე კომპანია „თელასთან“ – 4-წლიანი, „ენერგო პრო ჯორჯიასთან“ კი 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

– მთავრობის სხდომაზე ჩვენ გატანილი გვქონდა ორი საკითხი. ეს იყო ახალი მემორანდუმის გაფორმება „ენერგო პრო ჯორჯიასთან“ და „თელასთან“. მოლაპარაკებები დასრულდა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ „თელასთან“ 4-წლიან ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს, ხოლო „ენერგო პრო ჯორჯიასთან“ – 2-წლიანს. ტარიფი დარჩება იგივე, რაც შემცირებული გვქონდა. ერთადერთი ცვლილება ის, რომ იმ აბონენტებისთვის, რომლებიც 100 კილოვატამდე ელექტროენერგიას მოიხმარენ, ტარიფი კიდევ ნახევარი თეთრით შემცირდება ანუ ჯამში 4 თეთრით, – განაცხადა კალაძემ.



ვიცე-პრემიერმა აღნიშნული საკითხის განხილვისას დასძინა, რომ ტარიფების თემაზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

მისივე მტკიცებით, კომპანიებს ტარიფების შემცირების სანაცვლოდ საინვესტიციო ვალდებულებები არ გაუქმებიათ.

– საინვესტიციო ვალდებულებები რაც ჰქონდათ, ყველაფერი დარჩა ძალაში. ერთადერთი, რის ხარჯზეც შემცირდა ტარიფი, ეს კომპანიების ამონაგების ხარჯზე მოხდა, – აღნიშნა კალაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კომენტარი გაკეთდა გუშინ, მთავრობის კანცელარიაში ახალი საარსებო მინიმუმის დაანგარიშებას ეხებოდა.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის ინფორმაციით, ახალი საარსებო მინიმუმის დაანგარიშებასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური მუშაობენ.

– საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით სამუშაო საკმაოდ ბევრია, რადგან სხვადასხვა კომპონენტებია დასაანგარიშებელი, მაგალითად, რამდენი კალორიაა აუცილებელი და ა.შ. – განაცხადა მინისტრმა, ხოლო კითხვაზე, როდისთვის იქნება დამტკიცებული ახალი საარსებო მინიმუმი, მინისტრს ჯერჯერობით კონკრეტული პასუხი არ აქვს.

ამჟამად ქვეყანაში არსებული ოფიციალური საარსებო მინიმუმი 150 ლარს შეადგენს.

ასევე გუშინ ცნობილი გახდა, რომ 2013 წელს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 17,5 მილიონი ლარი გამოიყო.

ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა დავით სერგეენკომ მიაწოდა.

– დღევანდელ სხდომაზე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. აქედან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომ დღეს 2013 წლის სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა. ამ პროგრამას 12 ძირითადი მიმართულება აქვს, მათ შორის არის რეაბილიტაცია დამხმარე საშუალებებით, სპეციალური მკურნალობა და მოვლა. ამ პროგრამის ჯამური ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 2 მილიონი ლარით გაიზარდა და 17,5 მილიონი ლარი შეადგინა, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

მინისტრის განმარტებით, ასევე მოხდა პრიორიტეტების ხელახლა გადახედვა, რომლის დროსაც სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა მოსაზრებები იქნა გათვალისწინებული.

მთავრობის სხდომაზე, როგორც მოგვიანებით პრესისთვის ცნობილი გახდა, თამბაქოსთან ბრძოლის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

ამის შესახებ სხდომის დასრულების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

– როგორც უკვე იცით, 15 მარტს მთავრობამ თამბაქოსთან ბრძოლის გეგმა დაამტკიცა. დღეს უკვე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და ერთი თვის განმავლობაში სტრატეგიის შემუშავება და თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება დაიწყება, – აღნიშნა სერგეენკომ.

# ჟენევის მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა

ნათია ხურცილავა

ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე დავით ზალკალიანმა განაცხადა, შედეგის გარეშე დასრულდა.

როგორც პრესისთვის ცნობილი გახდა, ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდზე ძალის გამოუყენებლობის დეკლარაციაზე შეთანხმება ვერ შედგა.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე დავით ზალკალიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული დეკლარაცია რუსეთის მხრიდან ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულებას ვერ ჩაანაცვლებს.



– დასრულდა ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდი, რომელზეც, ძირითადად, ფორმატით გათვალისწინებული საკითხები იქნა განხილული. პირველ ჯგუფში განვიხილეთ უსაფრთხოების თემები და ძალის არგამოყენების შესახებ დეკლარაცია, რომელიც გახლავთ თანათავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი, თუმცა ჩვენი პოზიცია არის პრინციპული, რომ ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაანაცვლებს რუსეთის მხრიდან ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულებას, რაც გაჟღერებულ იქნა ამ შეხვედრაზე. საუბარი შეეხო აგრეთვე უსაფრთხოების სიტუაციას ადგილზე როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში. ყურადღება გამახვილებულ იქნა იმ ე.წ. საზღვრის სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, ნაგებობებზე, რომლის ფორტიფიკაციაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ტერიტორიაზე. აღინიშნა, რომ ეს ფაქტორი განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის მოსახლეობის გადაადგილებას და ის ბარიერები, რომლებიც ხელოვნურად შექმნილია, უნდა მოშორდეს, – განაცხადა პრესკონფერენციაზე დავით ზალკალიანმა.

ჟენევის ფორმატის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა ჰუმანიტარული საკითხები, სადაც იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემაც იქნა განხილული.

– ჩვენ ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმეთ მეორე ჯგუფში ჰუმანიტარულ საკითხებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემებიც იქნა განხილული. ასე რომ, ფორმატით გათვალისწინებული ყველა საკითხი იქნა დაფარული და ჟენევის მორიგმა რაუნდმა ჩაიარა ისე, როგორც ეს არის ფორმატის დღის წესრიგით გათვალისწინებული, – განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ინფორმაციით, დღის ბოლოს გაიმართა არაფორმალური, საინფორმაციო სახის შეხვედრა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდი 25-26 ივნისს გაიმართება.

# როდიდან დაიწყება შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემა

გულიკო ბალაძე

**გუშინ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „თბილისი მერიოტში“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პრეზენტაცია გამართა. სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძის განცხადებით, უკვე იწყება კოალიცია „ქართული ოცნების“ დანაპირების მეორე ნაწილის (პირველი იყო საგაზაფხულო ხვნის პროცესის დაფინანსება) — მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება. ამასთან ერთად, დაპირება იყო, რომ გაიცემოდა შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტები.**

— დღეს ჩვენს პარტნიორ საფინანსო ინსტიტუტთან ერთად ვაცხადებ ამ პროგრამის დაწყებას, რომელშიც ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. ამ პროექტის განხორციელება მარტივი არ იქნება, რადგან სიახლეა, თუმცა ეს გზა გაიარა ძალიან ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც ამ მეთოდით მუშაობდნენ იმ წლების მანძილზე, სანამ გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. ევროკავშირის ქვეყნებში ამ გზამ გაამართლა. იმედი გვაქვს, საქართველოში კიდევ უფრო წარმატებული იქნება, — განაცხადა დავით კირვალიძემ.

პროექტის ავტორი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე შალვა ფიფიაა.

მისი თქმით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყება შესაძლებელი გახდა გარკვეული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საშუალებით, აგრეთვე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მუშაობით.

შალვა ფიფია აცხადებს:

— შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით მონაწილეობს 11 ბანკი და ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ამ დიდი პროექტის ფარგლებში სამი სხვადასხვა კომპონენტი, სამი სხვადასხვა პროექტი განიხილება. ყველა ბანკი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობს, როგორც მინიმუმ, ერთ ან რამდენიმე კომპონენტში.

რაც შეეხება კომპონენტებს, პირველი კომპონენტია, მცირე ფერმერებისთვის გამიზნული ანუ იმ ადამიანებზე, რომლებიც არის მცირემიწიანი ფერმერები, ჩვენი პირველი პროექტის ბენეფიციარები და ასევე სხვა მცირე ფერმერებზე.

კერძოდ:

— „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში, ფერმერებსა და მეწარმეებს 3 ტიპის სესხის აღება შეეძლებათ: პირველი კომპონენტი მცირე ფერმერებზეა გათვლილი. მათ შეეძლებათ 5000 ლარამდე 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტის აღება. მეორე კომპონენტი 5000 ლარიდან 100 000 ლარამდე 2 წლამდე შეღავათიან აგროკრედიტს მოიცავს, რომელიც საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვისაა განკუთვნილი და მისი საპროცენტო განაკვეთი იქნება მაქსიმუმ 8%. მათ შეეძლებათ, შეღავათიან პირობებში მიიღონ სესხი და, შესაბამისად, გააუმჯობესონ მათი საქმიანობა.

მესამე კომპონენტი განკუთვნილია აგროსაწარმოებისთვის — 30 ათასი დოლარიდან 600 ათას დოლარამდე.

ეს სესხი გაიცემა დოლარებში. არის გრძელვადიანი სესხი 7 წლამდე ვადით, რომლის მიზნობრიობაც არის ძირითადი საშუალებების შეძენა, აგროწარმოებების, საწარმოების, გადამამუშავებელი საწარმოების, დამფასოებელი, შემნახველი, ცივი შენახვის საშუალებების, ასევე თანამედროვე ტიპის ეფექტური პირველადი წარმოების ძირითადი საშუალების დაფინანსება.

ამ შემთხვევაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მსესხებლისთვის იქნება 3%, რეალურად, ბევრი მათგანი მიიღებს 2%, 1% და შეიძლება 0%-იან კრედიტსაც კი. ეს საშუალებას მისცემს მსესხებლებს, აგრომეწარმეებს, განავითარონ თავიანთი საქმიანობა და მიიღონ საკმარისი რაოდენობის პირველადი პროდუქტი, გადაამუშაონ და შექმნან დამატებითი ღირებულება.

დავით კირვალიძის განცხადებით, ამ საქმიანობის პრინციპი არის ის, რომ აქ საბანკო სექტორია წამყვანი.

— სახელმწიფო თავად არ გასცემს არანაირ სესხს. ამის რამდენიმე მიზეზია. მთავარი ისაა, რომ საქართველოში ერთ-ერთი გამართული სექტორია საბანკო-საფინანსო სექტორი. აქ ყოველგვარი ზედმეტი ჩარევა და მანიპულაცია იქნებოდა დაღუპვის ტოლფასი. ვფიქრობ, ოპტიმალური მეთოდია შერჩეული. ყველა მსურველი, პირველ რიგში, მიმართავს საფინანსო ინსტიტუტს. იყო შეკითხვები, ხომ არ გაგვაწვალებენ, პრობლემა ხომ არ შეგვექმნება. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა ერთი რამ — როდესაც ბანკი, საფინანსო ინსტიტუტი სვამს კითხვას განაცხადზე, ეს განმცხადებლის სასიკეთოდაა, რომ ისეთი დახვეწილი განაცხადი შევიდეს, შემდეგ, ნაცვლად მოგებისა, საფრთხე არ შეიქმნას და აპლიკანტმა არ დაკარგოს თავისი ბიზნესი. ამ მხრივ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. იმედია, ხარვეზები ძალიან ცოტა იქნება. ყველას მინდა ვთხოვო, კარგად მომზადებული წინადადებებით მიმართონ ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებს, რადგან ეს იქნება საფუძველი წარმატებული პროექტებისა.

პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილის განცხადებით, ისინი აპირებენ დაპირებების შესრულებას. მან მადლობა გადაუხადა იმ საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროექტში.

გიგლა აგულაშვილი გამოვიდა ინიციატივითაც:

— კარგი იქნებოდა, თუ ამ პროექტში ერთ-ერთ კომპონენტად სადაზღვევო სექტორი ჩაერთვებოდა, რადგან შემდგომი ეტაპი მოითხოვს იმ საქმიანობისა და რისკების დაზღვევას, რაც ამ პროექტის განხორციელების პროცესში წარმოიშობა. აქ კიდევ შეიძლება გვქონდეს სამუშაო და პერსპექტივა. მინდა შევეხმიანო პოტენციურ ბენეფიციარებს და განვაცხადო, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად იქნება აწყობილი კომუნიკაციაზე და გამჭვირვალედ წარიმართება, — განაცხადა გიგლა აგულაშვილმა.

**მაყვალა არაყიშვილის**
**მემკვიდრეთა საყურადღებოდ**
**06.08.2006 წ.-ს გარდაცვლილი მაყვალა არაყიშვილის (დაბადების თარიღი: 15.08.1923 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ლელა ინწკირველთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ლელა ინწკირველს მიმართეთ 20.04.2013 წ.-მდე.**

# ვინ გაისტუმრებს მედიკოსთა ხელფასებს?

მერი ნამორაძე

ჯანდაცვის სისტემაში ერთობ ბევრი თავსატეხია გაჩენილი. ყველაზე დაუცველი ამ სფეროში, როგორც ჩანს, მედპერსონალი რჩება, რომელიც უკმაყოფილოა, ერთი მხრივ, მიზერული ანაზღაურებით, მეორე მხრივ კი იმით, რომ თვეობით უწევს ლოდინი კუთვნილი ხელფასის მისაღებად. ვითარება განსაკუთრებით რეგიონებშია გამწვავებული, სადაც გაცილებით თვალშისაცემია სადაზღვევო კომპანიების ვალდებულებების არშესრულების თუ ვერშესრულების შედეგები.

მოდი და მოსთხოვე ადამიანს ჰიპოკრატეს ფიცის უანგაროდ შესრულება, როცა თავადაც მშიერი რჩება და მის უკან კიდევ მშიერი ოჯახის წევრები დგანან. მშიერი ექიმს რა დამოკიდებულება ექნება პაციენტთან, საუბარი ამაზე ზედმეტია. სადაზღვევო კომპანიებისა და ჰოსპიტალური ქსელების მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ზარალდება ექიმიც და პაციენტიც.

ამჯერად საპროტესტო აქციები ექიმებმა დედოფლისწყაროში, ებრაული კომპანია „ადითის“ წინააღმდეგ გამართეს და ოთხთვიანი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს. აქციის მონაწილეები ქალაქის ცენტრში, პოლიკლინიკის შენობასთან შეიკრიბნენ, რომელიც რეაბილიტაციის მიზნით, ჰოსპიტალურმა ქსელმა „ადითმა“ შეიძინა. ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტო ქიზიყი.გე-მ გაავრცელა.

ეს ის ჰოსპიტალური ქსელია, რომელმაც მედიცინის, ფარმაციისა და სოციალური დაცვის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირთან ერთად ორიოდე კვირის წინ საპროტესტო აქცია თავად გამართა სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიასთან“ და თანხების დროულად გადარიცხვა მოსთხოვა. სამართლისა და ხელფასის მოლოდინში, რა თქმა უნდა, ისევ ექიმები ზარალდებიან, რადგან როგორც ჩანს, სადაზღვევო კომპანიამ არ შეისმინა არც მათი ხვეწნა-მუდარა, არც მედიაციის სამსახურის რეკომენდაცია, „ადითიც“ სადაზღვევო კომპანიისკენ იშვერს ხელს და საქმე ალბათ, სასამართლო განხილვამდე მივა.

ექიმებს „ადითში“ განუცხადეს, რომ თანხის გადარიცხვას სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ აფერხებს, რის გამოც ხელფასების გაცემა ჭიანურდება.

ექიმების საპროტესტო აქციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი მოადგილესთან ერთად შეუერთდა.



„იმედი მაქვს, რომ დედოფლისწყაროში სამედიცინო სფეროც მალე დალაგდება. ქუჩაში გამოსული ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სასამართლო გზით ჯობია დაგვიანებული ხელფასების მოთხოვნა,“ — განუცხადა ქიზიყი.გე-ს ირაკლი შიოლაშვილმა. „ადითის“ ადგილობრივი ხელმძღვანელობა აქციაზე არ გამოსულა.

როგორც აღმოჩნდა, სახელფასო დავალიანების დაგროვების გარდა „ადითს“ არც სხვა ვალდებულებების შესასრულებლად მოუკლავს თავი.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებს, რომ „ადითმა“ აღებული ვალდებულებების შესრულება ვერ უზრუნველყო, რაც ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ შექმნილმა მონიტორინგის ჯგუფმა დაადასტურა. სახელფასო დავალიანების გარდა, „ადითმა“ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფის ვალდებულებაც ვერ შეასრულა. დედოფლისწყაროში „ადითს“ 30-საწოლიანი ახალი კლინიკა 2013 წლის 1 აპრილამდე უნდა გაეხსნა.

„მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე დაათვალიერეს დაწესებულებები. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მარტის თვემდე გაწერილი ვალდებულებები არ არის შესრულებული. შემდეგი ნაბიჯები აღსრულებით ნაწილს მოიცავს. აქ საქმე მარტივად არაა, გასხვისებული ქონება იპოთეკითაა დატვირთული და ახლა დეტალებზე მიდის მუშაობა. რა შედეგები მოჰყვება, ამას შესაბამისი სტრუქტურა გადაწყვეტს“, — განაცხადა მინისტრმა.

როგორ უნდა იარსებონ მედიკოსებმა სასამართლო გადაწყვეტილებამდე, ან რა ვადებში მოხდება განაჩენის აღსრულება, ძნელი სათქმელია. სამწუხაროა, რომ სოცდაუცველთა ფენას ვითომ დასაქმებული ადამიანებიც ავსებენ მწირი ხელფასისა თუ მისი საერთოდ ვერმიღების გამო.

# უმაღლესში მეორადი ჩარიცხვები უქმდება

მერი ნამორაძე

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტებს სიურპრიზი მოუმზადა და მეორადი ჩარიცხვები გააუქმა, რომელიც საზოგადოების ნაწილის გულისწყრომას იწვევდა. როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, აბიტურიენტების მიერ არჩეული პროგრამების რაოდენობა არ იქნება შეზღუდული — ამ ცვლილების მიზანი მეორადი ჩარიცხვების საჭიროების მოხსნაა. იმის გათვალისწინებით, რომ აბიტურიენტს თავიდანვე შეუძლია მიუთითოს ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებზეც მის მიერ არჩეული გამოცდები ბარდება, მეორადი ჩარიცხვების საჭიროება აღარ არსებობს.

გადაწყდა, რომ ინფორმაცია სახელმწიფო გრანტის შესახებ ჩარიცხვებთან ერთად გახდება ცნობილი. შესაბამისად, თუ აბიტურიენტი მეორად ჩარიცხვებს ერთგვარ დამატებით შესაძლებლობად მიიჩნევდა, უმჯობესია განაცხადში თავიდანვე მიუთითოს ყველა ის პროგრამა, რომლებზეც მის მიერ არჩეული გამოცდები ბარდება.

მეორადი ჩარიცხვების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ დარჩენილი ადგილები არ იძლეოდა ოპტიმალური არჩევანის გაკეთების საშუალებას. გარდა ამისა, მეორადი ჩარიცხვების პროცესი მნიშვნელოვნად ახანგრძლივებდა გრანტების განაწილების პროცესს, რაც პირველადი ჩარიცხვებით მოხვედრილთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციისას აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, რეგისტრაციის დასრულებიდან კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში შეცვალონ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები, მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა. აბიტურიენტებს საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლა—დამატება, წაშლა, თანმიმდევრობის ხელახლა განსაზღვრა, პირველადი შედეგების შეტყობინების შემდეგაც შეეძლებათ — პროცესი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებასთან ერთად შეწყდება.

რეგისტრაციის დასრულებამდე, აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა აირჩიოს ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალი, გამოცდის ენა, საგამოცდო ქალაქი და ა.შ. როგორც გამოცდების ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ეს ინფორმაცია რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ შეიცვლება.

# პირველკლასელთა რეგისტრაცია იწყება

მერი ნამორაძე

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია პირველი აპრილიდან დაიწყება, ოღონდ არა ყველასთვის. რეგისტრაციის პროცესი სამ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე, რეგისტრაცია პირველკლასელთა მხოლოდ ნაწილისთვის იწყება. იმ ბავშვებს, რომელთა და-ძმაც სწავლობს მათთვის სასურველ სკოლაში, ან ვისი მშობელიც ამ სკოლის თანამშრომელია ან თუ ოჯახიდან ერთზე მეტი ბავშვი შედის სკოლაში, დარეგისტრირება პირველი აპრილიდან 19 აპრილის ჩათვლით შეეძლებათ. მშობლებმა მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტები 20 აპრილიდან 24 აპრილის ჩათვლით სკოლებში უნდა მიიტანონ.

პირველი ეტაპისგან განსხვავებით, მეორე ეტაპზე რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში განხორციელდება. ის ბავშვები, რომლებიც პირველი ეტაპის კატეგორიაში ვერ მოხვდნენ, პირველი მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე გაივლიან რეგისტრაციას. დოკუმენტების წარდგენის ვადა კი მათთვის 21 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით განისაზღვრა.

რეგისტრაცია დილის 09:00 საათზე დაიწყება. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ლევან ქებურია აცხადებს, საქართველოში ყველაზე მეტად მოთხოვნადი 22 სკოლაა და მათი უმრავლესობა თბილისშია.

პირველი და მეორე ეტაპის გავლის შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილები 21 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით იმ ბავშვებით შეივსება, ვინც რეგისტრაცია ვერ მოასწრო. მათ დოკუმენტები სკოლაში 10 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით უნდა წარადგინონ. ბავშვების სკოლაში შეყვანა 5 წლის ასაკიდან არის შესაძლებელი. ასაკთან დაკავშირებით არჩევანს მშობელი აკეთებს. განათლების სამინისტრო უკვე დამკვიდრებულ ტრადიციას არ უღალატებს და პირველკლასელებს საჩუქრად პორტატულ კომპიუტერებს გადასცემს.

# 17-წლამდელებმა ირლანდია დაამარცხეს

**საქართველო – ირლანდია 3:0**

**1:0 ზარანდია (54), 2:0 კერძევაძე (62), 3:0 ჩაბრაძე (71)**

58-ე წუთზე ზარანდიამ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი (მეკარე)

**საქართველო**: გოშაძე, გელაშვილი, მარგველაშვილი (მალანია 76), ტაბიძე, შუღლაია, პატარკაციშვილი, ხარაიშვილი, კერძევაძე, ბარამიძე (ზირიძე 41), ზარანდია, ჭანტურია (ჩაბრაძე 59)

**ირლანდია**: ბურკე, მოსელი, დემპსი, ქლერი, დონელანი (დიმაირ 50), ოჰალორანი, მულალი (ჩარლი 72), სტოუსი, ბირნი, მიტჩელი, გრეგორ-კოუსი (დოჰერტი 57)

**გაძევება**: მიტჩელი (55), ბურკე (56)

საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა, ელიტრაუნდის ჯგუფის მეორე შეხვედრაში დამაჯერებლად, სრული უპირატესობით დაამარცხა ირლანდიის ნაკრები.

მატჩი საკმაოდ უხეში გამოდგა. ირლანდიელი ახალგაზრდების ხისტი თამაში, ხშირ შემთხვევაში ზღვარსგადასულ უხეშობაში გადადიოდა. შესაბამისად, მოლდოველმა მსაჯმა ჩვენს მეტოქეს უხვად ჩამოურიგა ყვითელ-წითელი ბარათები.

ქართველები მთელი თამაში ფლობდნენ ინიციატივას და უპირატესობას, რაც სამ გატანილ გოლშიც აისახა, თუმცა, სავსებით შესაძლებელი იყო ანგარიში უფრო შთამბეჭდავი ყოფილიყო, რადგან დედგერაინის შეგირდებს 3-4 ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ, რომელიც ვერ გამოიყენეს.

სახიფათო მომენტები პირველი ტაიმის დასაწყისშივე შევქმენით. ორჯერ ილია კერძევაძე ურტყამდა ირლანდიელთა კარს და ჩვენი მეტოქე აშკარად გადარჩა. შემდეგ, რომან ჭანტურია ურტყამდა თავით, მოძრაობაში და ძალიან ჭკვიანურად, თუმცა, ამჯერად ირლანდიელები მეკარემ გადაარჩინა. ჯემალ ტაბიძის თავურის მერე კი, ბურთი კარის ხაზიდან მცველმა გამოიტანა.

ცხადი იყო, რომ ირლანდიელები ვერაფერს უპირისპირებდნენ ქართველების ლაღ, შემტევ და ორგანიზებულ ფეხბურთს. უხეშობა მათ პირველივე ტაიმიდან დაიწყეს. მეორე ტაიმის 55-ე და 56-ე წუთებზე კი, მსაჯმა მოედნიდან მათი ორი ფეხბურთელი გააძევა.

უფრო თანმიმდევრულად მივყევით: ნავსი 54-ე წუთზე გავტეხეთ, როცა ზარანდიამ მარჯვენა ფლანგიდან თავისი საფირმო დრიბლინგით თავბრუ დაახვია მცველებს, საჯარიმოში შეიჭრა და გამოზომილი, ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

56-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა მე-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ნინო ქათამაძე მოსკოვში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

30 მარტს ნინო ქათამაძე მოსკოვში „კროკუს სიტი ჰოლში“ კონცერტს გამართავს. ქართველი მომღერალი რუსეთის დედაქალაქს სანკტ-პეტერბურგიდან ეწვევა. ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაითი“ კონცერტზე შეკრებილი მსმენელისთვის შეასრულებენ როგორც ძველ და კარგად ნაცნობ ჰიტებს, ასევე ახალ მუსიკალურ კომპოზიციებსაც.

როგორც მომღერლის ოფიციალური გვერდი იუწყება, მოსკოვის შემდეგ ნინო ქათამაძეს დაგეგმილი აქვს კონცერტები როსტოვის გორკის თეატრში (2 აპრილს), კრასნოდარის დრამის თეატრში (4 აპრილს). ამით მისი რუსული საგასტროლო ტურნე დასრულდება და მომღერალი უკვე უკრაინას ეწვევა. 7 აპრილს ნინო ქათამაძეს უკრაინის დედაქალაქ კიევში ელოდებიან, 10 აპრილს ის ლუგანსკში იმღერებს, 12 აპრილს – მარიუპოლში, 14 აპრილს კი – ხარკოვში.



16 აპრილიდან ნინო ქათამაძე კვლავ რუსეთს და მის ქალაქებს დაუბრუნდება და კონცერტს ვორონეჟის საკონცერტო დარბაზში ჩაატარებს. 22 აპრილს პეტროზავოდსკში ჩავა, 24 აპრილს – მურმანსკში, 26 აპრილს კი – იაროსლავში.

ქართველი მსმენელი ნინო ქათამაძის კონცერტებით განებივრებული ნამდვილად არ არის. მისი ალბომების თუ კონცერტების პრეზენტაცია პირველად ყოველთვის მოსკოვში ტარდება. მომღერალი კონცერტებს საქართველოში მხოლოდ ფესტივალის „არტ გენი“ ფარგლებში მართავს, ზაფხულში მშობლიურ აჭარაში მღერის და ყოველი წლის 3 მარტს დედის დღეს დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტს ატარებს, სადაც ახალი ალბომის და მუსიკალური კომპოზიციების პრემიერას თბილისელი გულშემატკივრებისთვის აწყობს.

მას შემდეგ, რაც „საქართველოს ვარსკვლავის“ პირველი სეზონი დასრულდა და ნინო ქათამაძეც ჟიურიში აღარ ზის, მას მეტი თავისუფალი დრო აქვს, ამიტომ მთელ თავის ენერგიას საგასტროლო კონცერტებს და ახალი მუსიკალური კომპოზიციების ჩაწერას ანდომებს.

# ფესტივალ „ფანარტს“ მუსიკალური ცენტრი მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრისა და ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორგანიზებით თბილისში ფესტივალი „ფანარტი“ დაიწყო. ამ ფესტივალის ფარგლებში 8 ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორი საჯაროდ გააცნობს მსმენელს თავიანთ შემოქმედებას. ფოიეში მოეწყობა მონაწილეთა ფოტონამუშევრების, ნახატებისა და მულტიმედიური ნამუშევრების ჩვენება.

ფესტივალის მიზანია ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა და მათი პოპულარიზაცია ფართო აუდიტორიის წინაშე. ერთკვირიანი ფესტივალი აერთიანებს მუსიკას, თეატრს, კინოს, მულტიმედიას, ლიტერატურასა და დიზაინს. ფანარტი – მარტისტების კვირეულია, რომელზე დასწრებაც ნებისმიერ მსურველს სრულიად უფასოდ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში შეუძლია.




ფესტივალის თითო დღე თითო ღონისძიებას ეთმობა. ფესტივალის პირველი დღე საზეიმოდ გახსნა სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ლევან ყიფიანმა. ფოიეში მოეწყო მონაწილეთა ფოტონამუშევრების, ნახატებისა და მულტიმედიური ნამუშევრების ჩვენება. მცირე პერფორმანსის შემდეგ კი შესრულდა საავტორო კლასიკური მუსიკა.

ფესტივალის მომდევნო დღის მთავარ თემად ლიტერატურა შეირჩა, შემდეგ კი ჯაზის საღამო მოეწყო. ფესტივალის მონაწილეები ჯაზური კომპოზიციებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. საღამოს კონსულტანტად დათო ევგენიძე შეირჩა. ფოიეში კი მონაწილეთა ფოტონამუშევრებისა და ნახატებისა ჩვენება მოეწყო.

თეატრის საერთაშორისო დღეს ფესტივალი მთლიანად თეატრს დაეთმო, ხოლო მეოთხე დღეს უკვე მოდა და დიზაინი გახდა პრიორიტეტული. ფესტივალის დახურვამდე მასზე დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცემა გაიცნონ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც კინოთი, მუსიკით, ლიტერატურით, მულტიმედიით, თეატრითა თუ დიზაინით არიან დაინტერესებული.

– ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიზანია ბავშვთა და ახალგაზრდობის პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება და განხორციელება; მოზარდთა ინტერესების შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, პროფილური კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა; აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ერთობლივი ღონისძიებების გატარება; საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობის ყოველწლიური მონიტორინგი. ეს ცენტრი სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, 6 წლის წინ შეიქმნა. 2010 წლის მეორე ნახევარში, „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ დაექვემდებარა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრის ბიუჯეტი, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტური მართვის ფარგლებში ცენტრმა განსაზღვრა კონკრეტული ამოცანები. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა; ბავშვებსა და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, დანერგვისა და დამკვიდრების ხელშეწყობა, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის მიერ ეტაპობრივად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც ჩვენი ცენტრის პრიორიტეტების წარმოჩინებისკენ არის მიმართული. ეს არის შემოქმედებითი ფესტივალი და მასში მონაწილეობის მიღების მსურველთა ასაკი განისაზ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ახალი თაობის კინოფესტივალი საქართველოშია

ეკა ირემაშვილი

**29 მარტიდან საქართველოში კიდევ ერთი ფესტივალი გაიხსნება, რომელსაც „ახალი თაობის კინოფესტივალი“ (ფიუჩარ შორტს) ეწოდება. ეს არის დამოუკიდებელი მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც პარასკევიდან უკვე საქართველო უმასპინძლებს. ეს იქნება ფესტივალის მორიგი სეზონური ფესტივალი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაიდებს ბინას.**

ფესტივალი 2011 წლიდან მსოფლიოს 90 ქვეყანა ესტუმრა და მას 285-მა ქალაქმა უმასპინძლა. ის სეზონურად იმართება და წელიწადში 4-ჯერ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს აწყობს. მისი მიზანი კინოჩვენებების, მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების ერთ სივრცეში გაერთიანებაა.

ზამთრის სეზონის „ახალი თაობის კინოფესტივალი“ ამჯერად შვიდი საპროგრამო სურათით არის წარმოდგენილი, რომელშიც მხატვრული, ანიმაციური, დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ერთი მუსიკალური ვიდეორგოლია გაერთიანებული. ნამუშევრები გლობალური ფესტივალის ცენტრალურმა ოფისმა, რომელიც ლონდონში მდებარეობს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების აპლიკანტებს შორის შეარჩია. შერჩეული შვიდი ფილმის ჟიური კი იმ 18 ქვეყნის მაყურებელია, რომელშიც ამ სეზონზე ფილმების ჩვენებები გაიმართება. ხმის მიცემის შემდეგ თბილისის ივენთის მონაწილეებისთვის ფესტივალზე სპეციალურად მოწვეული ცნობილი ბერლინელი მუსიკოსი ფონო დაუკრავს.

ამ წამოწყებას ორი წლის განმავლობაში აქტიურად უჭერს მხარს ეროვნული კინოცენტრი. იმის გამო, რომ ფესტივალი საჭირო დაფინანსებას ვერ პოულობდა, ღონისძიებები ამ ორი წლის განმავლობაში სულ სხვადასხვა მასშტაბით და სხვადასხვა ადგილებში ტარდებოდა. ფესტივალის ორგანიზატორთა თქმით, საქართველოში სახელოვნებო პროექტებისათვის სპონსორების მოძიება ჯერ ისევ პრობლემური საკითხია. წელს მოხდა გამონაკლისი და ფესტივალის ოთხივე სეზონის მხარდამჭერი კომპანია „თელიანი ველია“.

– ტრადიციული, მოსაწყენი კინოფესტივალებისგან განსხვავებით, ეს ფესტივალი ინტერაქტიულია. გარდა ამისა, ფესტივალის ყოველი ახალი სეზონი ახალ სივრცეში, ახალ ლოკაციაზე იმართება, რაც მაყურებლის ინტერესს ზრდის, – აღნიშნავენ ფესტივალის ორგანიზატორები.

„ახალი თაობის კინოფესტივალი“ შანსს აძლევს ქართველებსაც, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ ფესტივალში. ამისთვის მთავარი ფესტივალის საიუბილეო სეზონზე ფესტივალის მონაწილის სტატუსის მოპოვების შანსია. ამ შანსის გამოსაყენებლად კი საჭიროა 1–დან 25 წუთამდე ხანგრძლივობის ფილმის გადაღება, თუნდაც მობილური ტელეფონით და ფესტივალის ქართული წარმომადგენლობისთვის ან ეროვნული კინოცენტრისთვის მიწოდება.

წლევანდელ „ახალი თაობის კინოფესტივალში“ ნაჩვენები იქნება კენიელი რეჟისორის ქათერ ჰოდიერნის 17-წუთიანი „თევზაობა ბადეს გარეშე“, (დრამა); პროგრამაშია ასევე რეჟისორ ტომ შროედერის დოკუმენტური ფილმი-ანიმაცია „მარსელი, ტერვურენის მეფე“ (აშშ, 6 წუთი), რეჟისორ ზაქარი ტრეიცის 12-წუთიანი ფილმი „გადავდივართ“ (აშშ), რეჟისორ როდნი აშერის დოკუმენტური ფილმი „ესი ჯოჯოხეთიდან“ (აშშ, 9 წუთი), ლუსი ლიუსქომბის მუსიკალური ვიდეო „სენდი გიოლ“ (დიდი ბრიტანეთი, 3 წუთი), ბრაიან ლაის მხატვრული ფილმი-კომედია-სიყვარულის ისტორია „სიყვარულის ბუდე“ (ჩეხეთის რესპუბლიკა, 7 წუთი) და პატრიკ ეკლუნდის კომედია-დრამა „შემოდგომის მარცვლები“ (შვედეთი, 18 წუთი).

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# შსს აკადემია ერთპიროვნულად გალიდერდა

### ოლიმპი – შსს აკადემია 63:70

(14:15; 14:16; 19:18; 16:21)

ჩემპიონატის ლიდერთა მატჩი „შსს-აკადემიას“ გამარჯვებით დამთავრდა. გიორგიოს კეცელიდისის გაწვრთნილმა აკადემიელებმა „ოლიმპს“ ბოლო მეოთხედში გამოჩენილი სიმტკიცით აჯობეს და სუპერლიგის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. თამაში ისე მიმდინარეობდა, როგორც ლიდერთა მატჩს ეკადრება – დაძაბულად და საინტერესოდ. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ხშირად წინ „შსს-აკადემია“ იყო. პირველი მეოთხედი კეცელიდისის გუნდმა 15:14 მოიგო, თუმცა მეორე ათწუთეულის შუაში „ოლიმპმა“ 6 ქულით დაწინაურება მოახერხა. შეცვლაზე შემოსულმა უკანახაზელებმა – ირაკლი მიქელაძემ და ირაკლი გულისაბედაშვილმა ჯამში 12 ქულა მიითვალეს და გია კაზანჯიანის გუნდი 28:22 დაწინაურდა.

მოპოვებული უპირატესობა ოლიმპელებმა ვერ შეინარჩუნეს. შსსელი ბენჟამინ რეიმონდის აქტიურობითა და შედეგიანობით კეცელიდისის გუნდი დიდ შესვენებაზე 3-ქულიანი უპირატესობით გავიდა – 31:28.

მესამე მეოთხედშიც თანაბარი თამაში გაგრძელდა და უკვე ცხადი იყო, მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდებოდა. ასეც მოხდა – მეოთხე პერიოდი აკადემიელებმა მძლავრად დაიწყეს და თამაშის დასრულებამდე 6 წუთით ადრე 57:47 დაწინაურდნენ – რეიმონდი და კირკ არჩიბექი შედეგიანად უტევდნენ „ოლიმპის“ კალათს.

კაზანჯიანის გუნდმა ბოლო მეოთხედის პირველი ქულა მისი დაწყებიდან 5 წუთში მოიპოვა, თუმცა პირველ ჩაგდებულ ბურთს კიდევ რამდენიმე მიაყოლა და ერთწუთეული ოლიმპელებმა 7:0 მოიგეს. თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 2 ქულა იყო „შსს-აკადემიის“ სასარგებლოდ, თუმცა დარჩენილ დროში კეცელიდისის გუნდმა დიდი ბრძოლისუნარიანობა და სიზუსტე გამოავლინა და მატჩი ისე ჩამთავრდა, „ოლიმპს“ წარმატების შანსი არ მისცემია.

„შსს-აკადემიაში“ ამერიკელი ლეგიონერები – ბენჟამინ რეიმონდი (24 ქულა, 9 მოხსნა) და კირკ არჩიბექი (22 ქულა, 11 მოხსნა) გამოირჩნენ. დამარცხებულთაგან 15 ქულითა და 19 ქულით ორმაგი დუბლი სტევან მილოშევიჩმა მიითვალა, ხოლო ლევან ფაცაციამ პირად ანგარიშზე 14 ქულა ჩაიწერა.

ამ გუნდების პირველი წრის მატჩი „ოლიმპმა“ 3 ქულით მოიგო და თუკი ამ 2 გუნდს რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს თანაბარი ქულები ექნებათ, უპირატესობა „შსს-აკადემიას“ მიენიჭება, რომელმაც დღევანდელი შეხვედრა 70:63 მოიგო.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია ემოციური და დაძაბული გამოდგა, რომელც თავდაპირველად მოგებული გუნდის მთავარი მწვრთნელის გიორგის კეცელიდისის სიტყვით დაიწყო:

**გიორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):**

– თამაშთან დაკავშირებით არ ვისაუბრებ და არანაირ კომენტარს გავაკეთებ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. ამდენი ხნის განმავლობაში ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, განსაკუთრებით მწვრთნელებთან, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ და დღეს ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი, როდესაც ოლიმპის გუნდის მენეჯერი გივი სანაძე ჩემთან მოვიდა და უცენზურო სიტყვებით მომმართა.

პრესკონფერენციაზე „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი გია კაზანჯიანი და „შსს აკადემიის“ სპორტული დირექტორი, ლევან მიქაბერიძე შეკამათდნენ. ლევან მიქაბერიძის აგრესია გია კაზანჯიანის შეკითხვამ გამოიწვია, რომელიც გიორგის კეცელიდის ჩაეკითხა თუ როგორ გამოიხატებოდა მწვრთნელების მიმართ მისი პატივისცემა. შელაპარაკებაში გიორგის კეცელიდისიც ჩაერთო, თუმცა სიტუაცია მალევე განიმუხტა და პრესკონფერენცია ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა, სადაც მატჩის შესახებ კომენტარები გია კაზანჯიანმა და მოთამაშეებმა გააკეთეს.

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– გივი სანაძის საქციელს არანაირად არ ვამართლებ, რაც შეეხება მატჩს, დაცვაში ორივე გუნდი მომზადებული იყო. სამწუხაროდ ჩვენმა გუნდმა უამრავი შეტევა ვერ გამოიყენა და თავდასხმაში ძლიერად ვერ იასპარეზა. შეთამაშება აშკარად გვაკლია, რადგანაც ეს ბოლო დღეები არ გვივარჯიშია.

**მიხეილ ჩიტაშვილი (შსს აკადემია):**

– ძალიან მოხარულნი ვართ ამ გამარჯვებით, რადგან ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დავამარცხეთ. კმაყოფილი ვარ ასევე დაცვაში კარგი თამაშით.

**გიორგი გულისაბედაშვილი (ოლიმპი):**

– ვულოცავ მოწინააღმდეგე გუნდს გამარჯვებას. გადამწყვეტ მომენტში დაცვაშიც და შეტევაშიც უამრავი შეცდომა დავუშვით და მარცხი განვიცადეთ.

### არმია – რუსთავი 64:79

(22:12; 20:20; 14:18; 8:29)

რუსთაველებმა ჩემპიონი კლასიკურ სტილში დაამარცხეს. მთელი თამაშის განმავლობაში მდევრის როლში მყოფმა ქვემოქართლელებმა მთავარი ძალები ბოლოსთვის შემოინახეს, გადამწყვეტ მეოთხედში 29:8 იმარჯვეს და საბოლოოდ რუსთავში დამაჯერებელი გამარჯვებით გაბრუნდნენ. „არმიამ“ პირველი მეოთხედი 22:12 მოიგო და უპირატესობას ბოლო მეოთხედამდე ინარჩუნებდა. რუსთაველები აუღელვებლად მიყვებოდნენ არმიელებს კუდში და ჩასაგდებს აგდებდნენ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ძალიან ბევრ სამქულიანს აცილებდნენ. პირველი ტაიმიც არმიელთა 10-ქულიანი ლიდერობით დასრულდა, ხოლო მესამე პერიოდში სტუმრებმა თამაში დაალაგეს.

ამერიკელი ლეგიონერი, კაილი ნელსონი შეუდარებლად თამაშობდა ფარქვეშ, რომელიც კამერუნელ ჯოლივეტ ტუჯანთან ტანდემში ბოლო მეოთხედში არმიელთათვის შეუჩერებელი აღმოჩნდა. ამერიკელ-კამერუნელის ტანდემს კარგად ამარაგებდა პასებით უკანახაზელი ნეით ბოუი. არმიელების შეტევებს შედეგიანობა დაეკარგა, რაც რუსთაველთა დაცვის დამსახურება გახლდათ. შედეგად, მოსახდენი მოხდა – რუთაველებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს და თუ პირველ წუთებს არ ჩავთვლით, მატჩში პირველად საფინალო სირენამდე 5,40 წუთით ადრე დაწინაურდნენ – 61:59.

ამის შემდეგ რუსთაველებმა სამქულიანებიც ზუსტად გამოიყენეს, სწრაფ შეტევაშიც იხეირეს და მეურვეებს ფარქვეშაც აჯობეს. მიხეილ ბერიშვილის გუნდის უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია, რაც არმიელთა წაგებას ნიშნავდა. 21 ქულით მოგებული ბოლო მეოთხედის შემდეგ რუსთაველებმა 79:64 გამარჯვება გაიფორმეს და ცხრილში უშუალო კონკურენტ არმიელებს გადაასწრეს.

„რუსთავს“ ნელსონმა 27 ქულითა და 12 მოხსნით ულიდერა, ტუჯანმა 18 ქულა ჩააგდო, ხოლო ნეით ბოუიმ – 17. არმიელთაგან 15-15 ქულით საუკეთესონი გიორგი შარაბიძე და ზვიად ბაბიაშვილი გახლდნენ.

**მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი):**

– რამდენიმე წარუმატებელი თამაშის შემდეგ ეს გამარჯვება ჩვენთვის აუცილებელი იყო. ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და შედეგსაც მივაღწიეთ. მადლობა არმიის გუნდს ასეთი კარგი თამაშისთვის. პირველ პერიოდში გვქონდა ხარვეზები, თუმცა ბოლო პერიოდში ყველაფერი ისე გამოგვივიდა, როგორც გვინდოდა.

**კოტე ტუღუში (არმია):**

– ვულოცავ რუსთავს გამარჯვებას. ძალიან მძიმე თამაში იყო ორივე გუნდისთვის. რუსთაველებმა ბოლომდე იბრძოლეს, არ დანებდნენ. ბოლო პერიოდში დიდი გარდატეხა მოახდინეს და თავის სასარგებლოდ გადაწყვიტეს მატჩის ბედი. ჩვენ მინუსი გვქონდა სიმაღლეში, რაც კარგად გამოიყენა მეტოქემ.

**ლევან ცეკვავა (რუსთავი):**

– გუნდს ნამდვილად სჭირდებოდა ეს გამარჯვება. დაცვაში კარგად ვითამაშეთ და ამან განაპირობა ჩვენი მოგება. მადლობა „არმიას“ ასეთი თამაშისთვის.

**გიორგი შარაბიძე (არმია):**

– მოგების დიდი შანსი გვქონდა, თუმცა ბევრი შეცდომა დავუშვით და დავმარცხდით. ამაზე სამუშაო გვაქვს და ვეცდებით გამოვასწოროთ ხარვეზები.

### სოხუმი – დინამო 74:73

(28:25; 16:16; 12:22; 18:10)

„სოხუმმა“ 2 ტურის წინ „რუსთავი“ რომ დაამარცხა, ბევრმა ეს სენსაციად მიიჩნია, თუმცა ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა დაამტკიცა, რომ ის გამარჯვება შემთხვევითობა არ იყო.

სოხუმელებმა 5 ლეგიონერის მყოლი „დინამო“ 74:73 დაამარცხეს, თან ისე, რომ ბოლო მეოთხედში 10 ქულით ჩამორჩებოდნენ.

კვარაცხელიას გუნდი ძალიან გააძლიერა სერბმა გამთამაშებელმა, რომელიც „სოხუმის“ ყველა შეტევას უძღვება და შეტევების ორგანიზებასთან ერთად მათ დაგვირგვინებასაც კარგად ახერხებს. როცა მატჩის დასრულებამდე 7,30 წუთი რჩებოდა და „დინამო“ 69:59 ლიდერობდა, სერბმა გამთამაშებელმა თამაში საკუთარ თავზე აიღო. სტოიაკოვიჩმა ზედიზედ 2 სამქულიანი ჩააგდო, რასაც სოხუმელთა მედგარი დაცვა და გრიგოლ შვანგირაძის 2-ქულიანი მოჰყვა.

10-ქულიანი ლიდერობიდან დინამოელებს მხოლოდ 2 ქულა დარჩათ (69:67), თუმცა ბექა ჩიკვილაძისა და მილან ოლუიჩის შედეგიანობის წყალობით „დინამო“ მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე 5 ქულით დაწინაურდა. სოხუმელები მაინც არ გატყდნენ და ამჯერად ვახტანგ ქადარიამ ითავა შეტევების დაგვირგვინება. სანამ ქადარია გამარჯვების ქულებს ჩააგდებდა, შვანგირაძემ ზუსტი ორიანით „სოხუმი“ მეტოქეს 70:73 მიაახლოვა. შემდეგ კი, საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე, ქადარიამ ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა.

მატჩის ბოლო 2 წუთში მხოლოდ 1 ბურთი ჩავარდა და ისიც ვახტანგ ქადარიამ ჩააგდო, რომელმაც დასრულებამდე 1,16 წუთით ადრე სოხუმელები 74:73 დააწინაურა. დარჩენილ დროში დინამოელებმა სამიანიც ააცილეს, ორქულიანიც და სულ ბოლოს, სირენამდე 5 წამით ადრე, ტრავმამოშუშებულ ქიან კარტერს სერგო ათუაშვილმა დაუფარა.



აღსანიშნავია, რომ სოხუმელთაგან ქულები მხოლოდ 4-მა კალათბურთელმა მოაგროვა: შვანგირაძე – 21, სტოიაკოვიჩი – 20, ათუაშილი – 17 და ქადარია – 16. სტოიაკოვიჩმა 20 ქულასთან ერთად 11 მოხსნაც მიითვალა. რაც შეეხებათ დინამოელებს, ირაკლი ხოშტარიას გუნდს ამერიკელმა ლამარ კარიმმა ულიდერა, რომელმაც 21 ქულა დააგროვა. ბექა ჩიკვილაძემ შეხვედრა 17 ქულით დაასრულა, ხოლო მილან ოლუიჩმა 10 ქულით და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

– მადლობა „დინამოს“ ასეთი თამაშისთვის. გუნდს არაჩვეულებრივი ლეგიონერები ჰყავს. ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა, თუმცა ჩვენ მოსაგებად გამოვედით და ბოლომდე ვიბრძოლეთ. წინა თამაშში დინამოსთან, რომელიც 4 ქულით წავაგეთ, კარტერმა დიდი როლი ითამაშა და მან დღესაც პრობლემები შეგვიქმნა.

**ირაკლი ხოშტარია (დინამო):**

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს. ვფიქრობ, რომ დღეს მოხერხდა იმ შემადგენლობის შეკრება, რომლითაც იმედია თამაშს გავაგრძელებთ. მთელმა გუნდმა წავაგეთ, მწვრთნელიდან დაწყებული ლიდერი მოთამაშეებით დამთავრებული. ჩვენი შესაძლებლობის 50-60 პროცენტს ვიყენებთ, ნაკლები შეცდომები უნდა დავუშვათ და ამაზე სამუშაო გვაქვს.

**ვახტანგ ქადარია (სოხუმი):**

– მადლობა „დინამოს“ ასეთი ძლიერი თამაშისთვის. დარწმუნებულები ვიყავით, რომ დაძაბული შეხვედრა იქნებოდა და გაგვიჭირდებოდა მოგება. გაგვიმართლა კიდეც, შორი სროლების თითქმის 50 პროცენტი გამოვიყენეთ. განსაკუთრებით ინტენსიურად ვვარჯიშობდით ბოლო ერთი კვირა, ეს მოგება გვჭირდებოდა და ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვეთ.

**ქიენ კარტერი (დინამო):**

– იმედგაცრუებული ვარ. წინა სეზონის ჩათვლით 4-ჯერ ვეთამაშე „სოხუმს“ და პირველად წავაგეთ. „სოხუმი“ კარგი გუნდია, შორი სროლებიც წაუვიდათ და გამარჯვებაც დაიმსახურეს. ჯერჯერობით ბოლომდე ფორმაში შესული არ ვარ, იმედი მაქვს, შაბათს უკეთესად ვითამაშებ.

### თსსუ – თსუ 73:70

(19:22; 22:19; 20:14; 12:15)

თსუ მედიკოსებზე წინ იყო და პლეი ოფში გასასვლელად უკეთეს სიტუაციაში იმყოფება, თუმცა ამ წაგების შემდეგ შესაძლოა გია ჩხეიძის გუნდს საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა გაუჭირდეს.

რაც შეეხება მატჩს, იგი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავდაპირველად თსუ ლიდერობდა, თუმცა როგორც ჩანს, ტრავმირებული სერჟ ასელაინის არყოფნა სტუდენტებისთვის დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. პირველი ტაიმის ბოლოსკენ მედიკოსები ათამაშდნენ და თამაში გაათანაბრეს. დიდი შესვენების შემდეგ თსსუმ 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა – 65:55, რაც ძირითადად ზურაბ მაისურაძის, ლევარ რევაზაშვილის და გიორგი ფერიაშვილის დამსახურება იყო. აღსანიშნავია ასევე რომან ტუკვაძის 3-სამქულიანი, რამაც მედიკოსებს საიმედო უპირატესობა დაუბევა.

სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა ბოლო მეოთხედში მოახერხეს ჩამორჩენის გაბათილება და ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. ბოლო წუთზე თსუ-ს კალათბურთელებმა 4 საჯარიმო ააცილეს – ვერც ირაკლი კობიძემ და ვერც ვახტანგ ჩქარეულმა საჯარომოს ხაზიდან ბურთი ვერ ჩააგდეს, რაც გახდა კიდეც თსუ-ს წაგების მიზეზი – 73:70 სამედიცინო უნივერსიტეტელთა სასარგებლოდ.

გამარჯვებულებს 18 ქულით ზურა მაისურაძემ ულიდერა, 15-15 ქულა ჰქონდათ ლევან რევაზაშვილსა და გიორგი რევაზაშვილს. თსუ-ში 18 ქულით გივი ბაქრაძე გამოირჩა, რომელმაც საფინალო სირენამდე გამთანაბრებელი ორქულიანი ააცილა. 17 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ირაკლი კობიძემ.

**თენგიზ ფიცხელაური (თსსუ):**

– ძალიან კარგად ითამაშა ორივე გუნდმა. ბოლომდე დაძაბული ბრძოლა იყო. პირველ ტაიმში ფარი წავაგეთ და დიდ სხვაობას გადავრჩით. მეორე ტაიმში გარკვეულწილადგამოვასწორეთ დაცვაში თამაში. უამრავი შეცდომა დავუშვით როგორც ჩვენ, ისე მეტოქემ. თუმცა მოწინააღმდეგეს მეტი ხარვეზი აღმოაჩნდა და ამიტომ ჩვენ ვიმარჯვეთ. მივულოცავ ჩემს ბიჭებს ნანატრ გამარჯვებას.

**გიორგი ჩხეიძე (თსუ):**

– პირველ რიგში, მივულოცავ გამარჯვებას მეტოქეს. ასეთი თამაშები ყოველთვის დაძაბულია. მართალია პირველ წრეში 30 ქულით ვიმარჯვეთ, მაგრამ დღეს სამედიცინომ უკეთესი თამაში აჩვენა. ბოდიშს მოვუხდი ბიჭებს და ჩვენი გუნდის გულშემატკივარს, რადგან ბოლოს შეცდომები დავუშვი. გამარჯვების შანსი ნამდვილად გვქონდა, თუმცა 4-დან ვერცერთი საჯარიმო გამოვიყენეთ. ასელაინი და ნოზაძე გვაკლდა, ალბათ ამანაც განაპირობა დღევანდელი შედეგი.

**დავით არწივიძე (თსსუ):**

– ამ თამაშში გამარჯვება ალბათ დაცვის ხარჯზე მოვახერხეთ. გუნდურად ვითამაშეთ და განსაკუთრებით გამოვყოფ მაღლების კარგ თამაშს დაცვაში. მადლობა ჩემს გუნდს და მოწინააღმდეგეს. ნამდვილად საინტერესო სტუდენტური დერბი შედგა.

გიორგი ვახანია (თსუ):

– ვულოცავ სამედიცინოს გამარჯვებას. არ გვყავდა ორი ძირითადი მოთამაშე და ამან განაპირობა მარცხი. თავიდან სროლები არ წაგვივიდა, ბოლოს მოვუმატეთ. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.შსს | 17 | 15 | 21401:1124 | 32 |
| 2.ოლიმპი | 17 | 14 | 31486:1224 | 31 |
| 3.რუსთავი | 18 | 13 | 51555:1324 | 31 |
| 4.არმია | 17 | 13 | 41531:1146 | 30 |
| 5.დინამო | 17 | 10 | 71329:1263 | 27 |
| 6.ქუთაისი | 17 | 10 | 71369:1240 | 27 |
| 7.სოხუმი | 17 | 7 | 101318:1398 | 24 |
| 8.თსუ | 18 | 6 | 121258:1452 | 24 |
| 9.ბათუმი | 18 | 5 | 131257:1473 | 23 |
| 10.თსსუ | 17 | 2 | 151084:1540 | 19 |
| 11.სტუ | 17 | 0 | 171098:1502 | 17 |

## შედეგები

**ფეხბურთი**

იტალია. სერია ბ

ჩეზენა-პადოვა .......... 2:0

პორტუგალია. თასი

ბელენენსეში-გიმარაეში .......... 0:2

პოლონეთი. თასი

ფლოტა-შლიონსკი .......... 0:2

**კალათბურთი**

ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-ბოსტონი .......... 92:93
ტორონტო-ატლანტა .......... 88:107
ფილადელფია-მილუოკი .......... 100:92
შარლოტი-ორლანდო .......... 114:108
ნიუ იორკი-მემფისი .......... 108:101
მინესოტა-ლეიკერსი .......... 117:120
ნიუ ორლეანი-კლიპერსი .......... 91:105
ოკლაჰომა-ვაშინგტონი .......... 103:80
ჰიუსტონი-ინდიანა .......... 91:100
სან ანტონიო-დენვერი .......... 100:99
იუტა-ფინიქსი .......... 103:88
გოლდენ სტეიტი-საკრამენტო 98:105
პორტლენდი-ბრუკლინი .......... 93:111

**ჩოგბურთი**

ატპ. მაიამი

ჰაასი-სიმონი .......... 6:3;6:1

ვტა. მაიამი

ვინჩი-იანკოვიჩი .......... 4:6;7:6;3:6

**ჰოკეი**

ნჰლ. რეგულარული სეზონი

ბოსტონი-მონრეალი .......... 5:5(0:1ბ)
მინესოტა-ფინიქსი .......... 4:3(ოტ)
კალგარი-კოლორადო .......... 4:3
სან ხოსე-ანაჰაიმი .......... 4:0

# 17-წლამდელებმა ირლანდია დაამარცხეს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

კარესთან ერთი-ერთზე გასული რომან ჭანტურია ბურკემ წააქცია. მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და მეტოქის მეკარე მოედნიდან გააძევა. პენალტის ნიშნულთან ზარანდია მივიდა, თუმცა, პირველი გოლის ავტორს დუბლის შესრულება მოედანზე ახლად შემოსულმა მეორე მეკარემ არ დაანება. დამატებაზე თავად ზარანდია და კერძევაძე ცდილობდნენ გატანას, თუმცა, არ გამოუვიდათ.

62-ე წუთზე, ანგარიში ორმაგად კერძევაძემ გაზარდა, როცა მარჯვენა ფლანგიდან, გელაშვილის პასის შემდეგ, ბურთი საჯარიმოში მიიღო და მეკარის პირისპირ დარჩენილს გატანა არ გასჭირვებია.

ბოლოს კი, კუთხურიდან ხარაიშვილმა შულაიას გაუთამაშა, რომელსაც დიდი სივრცე ჰქონდა. საქართველოს ნაკრების მცველს ბევრი არც უფიქრია, პირდაპირ საჯარიმოში შეიჭრა და მახვილი კუთხიდან კარშიც დაარტყა. უცნაური ტრაექტორიით წასული ბურთი მეკარემ ცხვირწინ მოიგერია, დამატებაზე კი, გრიგოლ ჩაბრაძე აღმოჩნდა და ვარდნაში მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად ტელემარათონი გაიმართება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თბილისის თეატრების გარდა, აქციაში ჩაერთნენ რეგიონების თეატრებიც. გიორგის გადასარჩენად სპექტაკლები უკვე ითამაშეს გორის, ბათუმის, ზუგდიდის თეატრებმა. ყველა თეატრში სპექტაკლებმა სრული ანშლაგით ჩაიარეს და შემოსული თანხა მთლიანად გიორგის ანგარიშზე ჩაირიცხა. აქციას უერთდება რუსთავის თეატრი „ბრავო“ და 30 და 31 მარტს წარმოადგენს საქველმოქმედო სპექტაკლს „კანტორა“. თანხა მთლიანად გიორგის ანგარიშზე გადაირიცხება. ?

29 მარტს თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართება საქველმოქმედო საღამო გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად. საღამოზე მიწვეული არიან მომღერლები ირინა ბაირამაშვილი, მარიტა როხვაძე, სალომე ბაკურაძე, ნიკო ბერიძე, თემო საჯაია, გიორგი ცხვარიაშვილი, ემა პოლოსოვა, ია ტომაში, თაკო ვადაჭკორია, გიორგი ნადიბაიძე, ნათია ქოროღლიშვილი, ანი გოზალიშვილი, ლელუკა ქოროღლიშვილი, ანი ღონღაძე, სალომე ცუხიშვილი და სხვები. საღამოზე შემოსული თანხა გადაირიცხება გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებელ ფონდში.

თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზმა უკვე უმასპინძლა საღამოს, რომელშიც ახალგაზრდა მსახიობის კოლეგები მონაწილეობდნენ. თსუ „გორდელასთან“ ერთად შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარსდგნენ მსახიობები ეკა ნიჟარაძე, ნინო მუმლაძე, კახა მიქიაშვილი, ონისე ონიანი, მაკა შალიკაშვილი, ზუზუ ბეჟაშვილი, ანა რეხვიაშვილი, ანა სანაია, დიმა ტატიშვილი, ეკო ფანგანი და სხვა ცნობილი მსახიობები.

სასტუმრო თბილისი მარიოტში ღვინის ბარის ტერიტორიაზე თბილისის კლასიკური გიმნაზიის ინიციატივით 30 მარტს გალერეა „შარდენში“ გაიმართება თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება რუსუდან ფეტვიაშვილის, ნიკო ცეცხლაძის, ანტონ ბალანჩივაძის, გივი თოიძის, გოგი ჩაგელიშვილის, როკო ირემაშვილის, კონსტანტინე მინდაძის, მზეო გოგოჭურის, ზურაბ ნიჟარაძის და სხვა ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები.

31 მარტს კი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ტელემარათონი გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად, რომლის ბილეთებიც უკვე იყიდება და მათი ფასი 20-დან 70 ლარამდეა. ტელემარათონში მონაწილეობას მიიღებენ სუხიშვილები, დათო ევგენიძე, ლელა წურწუმია, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, თამრიკო ჭოხონელიძე, მერაბ სეფაშვილი, ნინო ჩხეიძე, ლაშა ღლონტი, ნეკა სებისკვერაძე, ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი, მგზავრები, ეგარი, ქართული ხმების კვარტეტი, თეატრალური კვარტეტი, ალილო, კახაბერი და ხანუმები, შვიდკაცა, ფრანი და ფორტე.

31 მარტს კლუბი დივანის სარდაფში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი-პერსფორმანსი „წელს ზემოთ შენი არა ვარ“. ღონისძიებაზე დასწრება 7 ლარი ღირს. ბილეთებიდან შეგროვილი თანხა გადაირიცხება მსახიობ გიორგი ყორღანაშვილის დახმარების ფონდში. სპექტაკლი-პერფორმანსის რეჟისორია ნინო ბასილია. პიესაში გამოყენებულია ციტატები ოსნე საიეშტატის დოკუმენტური პროზიდან „ქაბულელი წიგნებით მოვაჭრე“, და ასევე ნამდვილი ისტორიები ავღანელი და სხვა მუსულმანი ქალების დღევანდელი ცხოვრებიდან. სპექტაკლის პირველ ნაწილში ჩადრიანი მსახიობები სათითაოდ აიყვანენ მაყურებლებს სცენაზე და პირადად მოუყვებიან რამდენიმე მუსულმანი ქალის პირად ისტორიას. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეკრანზე კინოპროექციით გავა ვიდეოარტი.

სპექტაკლის მეორე ნაწილში ჩადრში გამოწყობილი მსახიობები წარმოადგენენ პერფორმანსს, რომელშიც საინტერესოდ გააცოცხლებენ თავიანთ გმირებს და მათი ცხოვრების დეტალებს. სპექტაკლში მონაწილეობენ მაკა შალიკაშვილი, მაია ლომიძე, ლელა მეტრეველი, ნინი არჩაია, ნინო ახობაძე, თინათინ ცისკარაძე, თორნიკე ქარჩხაძე.

ქორეოგრაფია ნინო ახობაძეს ეკუთვნის, ხმის რეჟისურა – დათო თოიძეს, კოსტუმების მხატვარი და სპონსორია ნანა მელქაძის მოდის სახლი.

იმისთვის, რომ საჭირო თანხა მოაგროვონ, გიორგის მეგობრები სამდღიან აქციას იწყებენ:

– 29 მარტს ჩატარდება მზრუნველი „სტაიანშიკები“ – მთელი თბილისის მასშტაბით საღამოს 5 საათიდან სხვადასხვა ავტოსადგომებზე თქვენს განწყობაზე და მანქანის უსაფრთხოებაზე იზრუნებენ გიორგის გულშემატკივრები და მეგობრები. სერვისის ღირებულება 1 ლარი. 30 მარტი – დიასახლისების ასისტენტები: მთელი თბილისის მასშტაბით სხვადასხვა უბანში, მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლებში, გიორგის გულშემატკივრები და მეგობრები შემოგთავაზებთ მაღაზიაში „ჩაგზავნისა“ და ნაგვის გადაყრის სერვისს. თითოეული მომსახურების ღირებულებაა 1 ლარი. 31 მარტი – წინასაკონცერტო აჟიოტაჟი: რუსთაველზე, თავისუფლების მოედანზე, სხვადასხვა საბავშვო პარკებში 12.00 საათიდან გიორგის გულშემატკივრები და მეგობრები შეეცდებიან თქვენი და თქვენი ბავშვების გართობას, – აცხადებენ გიორგის მეგობრები.

მსახიობის მეგობრებმა კიდევ ერთი საშუალება მოიფიქრეს გიორგის დასახმარებლად:

– ჩარიცხეთ თანხა გიორგის ინბოქსის ნომერზე ერთი კლიკით. მისი ინბოქსის ნომერია 400 000, – ამბობენ მეგობრები.

გიორგი ყორღანაშვილს დასახმარებლად თანხის შესაგროვებლად „შავფაროსნებმა“ და „მოძრაობის თეატრმა“ მსვლელობა მოაწყვეს, რომელიც თეატრალური უნივერსიტეტიდან დაიწყო და დიდ საკონცერტო დარბაზთან დასრულდა. მეტრო მარჯანიშვილის წინ ჩატარდა საქველმოქმედო მუსიკალური აქცია გიორგის გადასარჩენად. მუსიკისა და დრამის თეატრში გათამაშდა შექსპირის „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“ ასევე გიორგის დასახმარებლად. საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის თაოსნობით საბილიარდო კლუბში „რიო“ გაიმართა ჩემპიონატი ბილიარდში, რომელიც გაგრძელდა 3 დღე და მასში მონაწილეობას მიიღეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა. ჩემპიონატი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა და ემსახურებოდა გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად სახსრების მოძიებას. შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა გიორგის ანგარიშზე.

კლუბში „33ა“ ჩატარდა ალტერნატიული მუსიკის კონცერტი, რომელშიც სხვადასხვა ჯგუფები თუ მომღერლები იღებდნენ მონაწილეობას. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 5 ლარი იყო. როგორც გიორგის მეგობრები ამბობენ, ამ კონცერტზე შეგროვდა 11.135 ლარი.

მარჯანიშვილის თეატრმა სპეციალურად გიორგისთვის ითამაშა სპექტაკლი

„როგორც გენებოთ“, რომელიც ლევან წულაძემ სპეციალურად ლონდონში გამართული შექსპირის ფესტივალისთვის დადგა. „ეს ყველაზე „არაშექსპირული“ პიესაა, მეორე მხრივ კი, თითქოს და შექსპირის ყველა მომდევნო პიესის საწყისია აქ გაბნეული – თითქოს დრამატურგის მომავალ პიესათა ვარიაციაა. აქ აღმოაჩენთ ჰამლეტის ორეულებს, „ზაფხულის ღამის სიზმრის“ მელანქოლიურ გმირებსა და პროსპეროს მსგავს იდუმალ, ბრძენ და ნახევრადღვთაებრივ არსებებს. ეს პიესა ერთდროულად შუასაუკუნეების მისტერიასაც მოგვაგონებს, ქალაქის მოედანზე გათამაშებულ თოჯინურ ბუფონადასაც და ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ დრამასაც. ამ პიესიდან, როგორც სარკიდან, ისე მოჩანს არისტოფანე, დანტე, და ასე განსაჯეთ, ჩეხოვიცა და ბრეხტიც კი“ – ამბობს მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე.

პანტომიმის თეატრმა ითამაშა საქველმოქმედო სპექტაკლი გიორგის გადასარჩენად და ბილეთები 10 ლარად გაყიდა. კინომსახიობთა თეატრმა ამ აქციის ფარგლებში ორი სპექტაკლი წარმოადგინა „სუფთა სახლი“ და „მელოტი მომღერალი ქალი“, სამეფო უბნის თეატრმა კი „სტრიპტიზი“ გაითამაშა. როგორც დრამატურგი დავით გაბუნია წერს, ამ სპექტაკლმა და მასზე დამსწრე საზოგადოების რეაქციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

„გიორგი ყორღანაშვილის შესახებ ადრე დაწერილ ნოუთს გადავხედე, რამდენი მიწუწუნია და სულ საკუთარ თავზე, როგორ გამიჭირდა ტექსტის დაწერა მე, როგორ ვგრძნობდი თავს მე, რა გავაკეთე მე – სულ მე და მე. ეუფ! ის ნოუთი 4 მარტს დავწერე, მაშინ იმედი ნაკლები გვქონდა ყველას, ახლა – მეტი გვაქვს. 21 მარტს სამეფო უბნის თეატრში საქველმოქმედო სპექტაკლი „სტრიპტიზი“ (რეჟისორი ნიკა თავაძე) ვითამაშეთ – მე ვიდეო პროექცია მიმყავდა – ასე არასოდეს არ მინერვიულია, არადა, განა რა, ბევრი საქმე კი არა მაქვს, ორი მოკლე ვიდეო უნდა გავუშვა. ისევ საკუთარ თავზე დავიწყე ლაპარაკი, მორჩა, მეტს აღარ ვიზამ. ბიჭებმა (პაატა ინაური და დათა თავაძე) მართლა ყველაზე მაგრად ითამაშეს – არ მომჩვენებია, სულ სხვა სილრმე ჰქონდათ, სხვანაირად თამაშობდნენ. აფიშას დიდი წითელი ასოებით ეწერა „საქველმოქმედო სპექტაკლი“ – და ახსნილი იყო, რომ შემოსული თანხა მთლიანად გადაერიცხება გიორგის.

სპექტაკლი რომ მორჩა, დაღლილი და გახვითქული მსახიობები (ვისაც უნახავს, მიხვდება, რატომაც) დარბაზში გადავიდნენ გამჭვირვალე ყუთებით ხელში და გიორგისთვის შემოწირულობის შეგროვება დაიწყეს.

მეტექნიკური სართულიდან ვუყურებდი ამ სცენას და მგონი, ერთადერთი არ ვიყავი, ვისაც ამ დროს აეტირა. არა, ხომ ვთქვი, საკუთარ თავზე არ ვილაპარაკებ-მეთქი, მაგრამ, აჰა, გამოერია მაინც.

მოხდა ის, რაც მხოლოდ თეატრში ხდება (და ეს არაა პათეტიკური სისულელე, მე მართლა ვგრძნობ ამას) – ცოცხალი კავშირი მაყურებელთან – როცა შენ გისმენენ და შენი ესმით. სცენაზეც ცოცხალი ადამიანი დგას და დარბაზშიც ცოცხალი ადამიანები სხედან. ამიტომ მიყვარს თეატრი – დამერწმუნეთ, „სტრიპტიზი“ ძალიან ბევრჯერ მაქვს ნანახი, ტექსტის ადაპტაციაც ჩემი გაკეთებულია, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ რაც იმ დღეს სცენაზე ხდებოდა, ამის გადმოცემა ძალიან ძნელია. ამისთვის დარბაზში უნდა იყო და სხვებთან ერთად შენც იგრძნო. დიდი მადლობა მაყურებელს და მსახიობებს. თითოეული გაყიდული ბილეთის საფასური და სპექტაკლის შემდეგ შეგროვილი შემოწირულობა კი იქნება მათი ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც გიორგი ყორღანაშვილის სიცოცხლეს შეუნარჩუნებს. მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ.

საქართველოში ლამის არ დარჩა თეატრი, გიორგის დასახმარებლად სპექტაკლი არ ეთამაშოს, უახლოესი დღეების აფიშაშიც მრავალს იპოვით ასეთს – სპეციალურ გვერდზე „ფეისბუქში“ იდება ბევრი სიახლე, თუ რა იგეგმება უახლოეს დღეებში – დაათვალიერეთ და შეურთდით – ერთი ნაყიდი ბილეთიც კი შეუძლებელს შეძლებს სიცოცხლის გადარჩენის საქმეში და არ დაგავიწყდეთ, რა თქმა უნდა, სატელეფონო ნომერი 09 01 800 804. კიდევ ბევრი რამის დაწერა მინდოდა, მაგრამ დღეისთვის მეტყველების (მათ შორის – წერითი) რესურსი ამოვწურე“.

კლუბში „კლიკი“ გაიმართა მსახიობის დასახმარებელი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ თიკა მახალდიანი, ნათია დუმბაძე, ანუნა მდივნიშვილი, ნინია მეტრეველი, ანი ღონღაძე, ირინა ბაირამაშვილი, გიორგი ცხვარიაშვილი და ზაზა ჭინჭარაული. რუსუდან ჭყონიას ფილმი „გაიღიმეთ“ ნაჩვენები იყო „საქართველოს უნივერსიტეტის“ კლუბში და შეგროვილი თანხა მთლიანად გადაირიცხა მის ფონდში, პოეზიის საღამო მოეწყო ილიაუნის თეატრში, სტუდიამ „ბერიკები“ ჩაატარა ნიკო გომელაურის პოეზიის საღამო და მთელი შემოსავალი გიორგის გადაურიცხა, რეჟისორმა გოგი თოდაძემ თავისუფალ თეატრში წარმოადგინა სპექტაკლი „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“, სტუდიამ „ბერიკები“ თეატრალიზებული წარმოდგენა გამართა. მოსწავლეებმა წაიკითხეს თამრი ფხაკაძის „სანამ დაგვიძახებენ“ და 5 ლარად გაყიდული ბილეთების საფასური გადაურიცხეს ახალგაზრდა მსახიობს. გრიბოედოვის თეატრმა ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ გაითამაშა.

როგორც გიორგის მეგობრები ამბობენ, საქველმოქმედო აქციები მომავალშიც გაგრძელდება და გიორგი ყორღანაშვილის გადარჩენას ყველანი ერთად აუცილებლად შევძლებთ.

**ეკა ირემაშვილი**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 2. ქართული მითოლოგიის გმირი; 3. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 5. ქართლში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. იაფფასიანი ადგილი თეატრში; 9. ზოდიაქოს ნიშანი; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. რეზინის წარმოებაში გამოყენებული ტროპიკული მცენარის წვენი; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. ქართველი რაგბისტი; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი.

**თარაზულად**: 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 10. ქართული ძილისპირული; 11. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 14. „მარადიული ურია“; 15. ქართული ორცხობილა; 18. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 21. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 22. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 23. ვერცხლით დაფარული ლითონი; 24. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არაბიკა; 2. პლასტიკა; 3. სტივიდორი; 4. პარსეკი; 5. ციცინათელა; 10. კახასა; 11. ერისიონი; 12. მესხეთი; 13. ბოლვერა; 16. ჰართფილდი; 17. პოლონეზი; 19. ავლაბარი; 21. ტიბრი; 23. სამბა.

**თარაზულად:** ტროგლოდიტი; 7. ლაქმუსი; 8. პირატი; 9. სინოპეკი; 14. გორდონსი; 15. კუსტურიცა; 18. ტონგა; 20. კონკური; 22. ტასკონი; 24. სინემა; 25. პლომბირი; 26. ხაბაზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მეოტიდა; 2. დუაიენი; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ტონიაცი; 8. ბიზნესი; 9. კარამელი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. სეკანსი; 19. ისინდი; 20. შალახო.

**თარაზულად:** 6. ხევსურეთი; 7. ნექტონი; 8. ბატუტი; 10. თიანეთი; 11. ბაია; 14. ყინწვისი; 15. ბალავაძე; 18. ბოჟოლე; 21. სელტკი; 22. ღაწვი; 23. ირტიში; 24. კაბელტოვი.

## ფესტივალ „ფანარტს“ მუსიკალური ცენტრი მასპინძლობს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ღვრა 15-დან 28 წლამდე. დიდი იმედი მაქვს, რომ ფესტივალი ყოველწლიურ სახეს მიიღებს. ეს არის ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებული პროექტი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მას ვახორციელებთ ნიკოლოზ რაჭველთან ერთად. ყოველი დღე ეძღვნება თითო ხელოვნების სფეროს. გახსნა მიეძღვნა მხატვრობას, მუსიკას, ფოტოს, ეს იმიტომ რომ გახსნა მასშტაბური გავაკეთეთ. ჩვენი პარტნიორია თიბისი ბანკი, რომელიც თავის რჩეულებს გამოავლენს და ამავდროულად დიდ სიურპრიზსაც ამზადებს. ყოველს საღამოს 8 საათზე ეროვნულ მუსიკალური ცენტრის კარი იღება და დასწრება არის უფასო, – აცხადებს ფესტივალის ორგანიზატორი თეა ყიფშიძე.

# ქაბულში ოთხი ბავშვი დაიღუპა

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ნატო-ს შეიარაღებული ძალებისა და ადგილობრივი სპეცსამსახურების ერთობლივი ოპერაციის შედეგად, ხუთი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის, ოთხი ბავშვი. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება.



გამოცემის ინფორმაციით, ოპერაციის დროს ლიკვიდირებული იქნა 23 თალიბი მეამბოხეც, 26 კი ტყვედ აიყვანეს.

თუმცა, ავღანეთის თავდაცვის სამინისტრო ამ დრომდე უარყოფს მშვიდობიანი მოქალაქეების, მათ შორის ბავშვების გარდაცვალების ფაქტს.

„ჩვენ არ ვადასტურებთ, რომ ოპერაციის დროს დაშავდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. ყველა მოკლული შეიარაღებული მეამბოხე იყო. თუმცა, მომხდართან დაკავშირებული გამოძიება გვიჩვენებს, არიან თუ არა მოკლულთა შორის მშვიდობიანი მოქალაქეები“, — განაცხადა ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, აფზალ ამანმა.

მანამდე, ავღანეთის აღმოსავლეთით პოლიციის შენობასთან აფეთქება მოხდა, რასაც ხუთი პოლიციელი ემსხვერპლა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა უკვე აიღო „თალიბანმა“.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, დაშავდა შვიდი სამოქალაქო პირი. „სი-ენ-ენ“-ის ცნობით, ავღანეთში ერთ დღით ადრე ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ჩავიდა. კერი ქაბულში გუშინ ჩაფრინდა, სადაც პრეზიდენტის სასახლეში ქვეყნის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის შეხვდა.

ამ ფონზე, ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი ყატარში გაემგზავრება, სადაც „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებს. ამის შესახებ კვირას ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა.

„პრეზიდენტი ყარზაი სამშვიდობო პროცესისა და თალიბანის ოფისის გახნის შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას“, — განაცხადა ჯანან მოსაზაიმ.

„როიტერის“ ცნობით, ამერიკამ უკვე განაცხადა, რომ მიესალმება ყატარში ისეთი ოფისის გახსნას, სადაც „თალიბანსა“ და ავღანეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა იქნება შესაძლებელი.

„ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ყარზაის ყატარში ვიზიტს. პრეზიდენტი და მსოფლიოს სხვა ლიდერები აგრძელებენ ავღანეთის შეაირაღებული ოპოზიციის მოწოდებას, რათა ისინი პოლიტიკურ პროცესს შეუერთდნენ“, — განაცხადა თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა კეტლინ ჰაიდენმა.

# სირიის ოპოზიციამ პირველ საელჩო გახსნა

„როიტერის“ ცნობით, სირიის ოპოზიციურმა ჯგუფმა, რომელსაც არაბული ლიგა აღიარებს, გუშინ ყატარში პირველი საელჩო გახსნა.



საელჩოს გახნის ცერემონიაზე ოპოზიციის ყოფილმა ლიდერმა მოაზ ალ-ხათიბმა კიდევ ერთხელ გამოხატა მისი იმედგაცრუება, რომ მსოფლიო სირიელი ხალხის დახმარებას ვერ ახერხებს. „გამარჯვების ერთადერთი გზა გაერთიანებაა“,-აღნიშნა ხათიბმა. შეგახსენებთ, რომ სირიის ოპოზიციური კოალიციის ლიდერმა მოაზ ალ-ხათიბმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ ამ დღეებში გამოაცხადა.

როგორც აღნიშნავენ, ამ ნაბიჯით მან სირიის საკითხთან მიმართებაში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოზიციასთან დაკავშირებით გამოხატა უკმაყოფილება. ცოტა ხნის წინ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოწოდება არ გაითვალისწინეს და სირიელ ამბოხებულებისათვის იარაღის მიწოდებაზე დაწესებულ ემბარგოს მოხსნას მხარი არ დაუჭირეს.

2011 წლის მარტში სირიაში დაწყებულ კონფლიქტს, გაეროს მონაცემებით, 70 000 ადამიანი ემსხვერპლა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# გუანტანამოში მოშიმშილეთა რაოდენობამ 31-ს მიაღწია

გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე განთავსებულ ციხეში მოშიმშილეთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა. ინფორმაციას ამის შესახებ პენტაგონი ადასტურებს.



პენტაგონის ინფორმაცით, 166 ტუსაღიდან 31 შიმშილობს.

აღნიშნულის გამო, საერთშაორისო წითელი ჯვარი გუანტანამოში საკუთარ წარმომადგენლებს აგზავნის.

გავრცელებული ინფორმაციით, გუანტანამოს ბაზაზე მიმდინარე შიმშილობის პროცესმა უკიდურესად მძიმე ფორმა მიიღო, რის გამოც წითელი ჯვრის წარმომადგენლები კუბაში განთავსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე დაგემილზე ერთი კვირით ადრე ჩავლენ.

გუანტანამოს ბაზაზე მყოფი პატიმრების ერთ ნაწილს ჯერაც არ აქვს წაყენებული ბრალი, მრავალი მათაგანის შიმშილობის მიზეზი აშშ-ის ხელისუფლების დამოკიდებულებაა.

მოშიმშილეთა რაოდენობა თანდათანობით იზრდება. გასულ კვირას ბაზაზე 21 ტუსაღი შიმშილობდა. უფლებათადამცველები და ადვოკატები აცხადებენ, რომ შიმშილობა აშშ-ის სამხედრო ხელისუფლების გაურკვევლობის შედეგია, რომელმაც არ იცის რა უყოს ბაზის ტუსაღებს.

100-მდე პატიმარს უკვე მოეხსნა ბრალი, თუმცა ისინი რჩებიან ბაზაზე აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილების გამო, რომელმაც გუანტანამოს ტუსაღებზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა. ამავე დროს, აშშ-ის ხელისუფლება უარყოფს ბრალდებას, რომ შიმშილობის მიზეზი პატიმრების მიმართ ღირსების შემლახავი დამოკიდებულება გახდა. კერძოდ, ჩხრეკისას მუსულმანური წმინდა ტექსტების ასლებისადმი უდიერი მოპყრობა.

გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე პირველი ტუსაღები 2002 წელს ჩაიყვანეს. ბაზაზე 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაკავებული პირები გადაჰყავდათ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ტერაქტის ორგანიზებაში, მონაწილებასა და ტერორიტული ორგანიზაციების წევრობაში.

ციხის გახსნის მე-11 წლისთავზე რამდენიმე უფლებადამცველმა ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ საპროტესტო მსვლელობა მოაწყო თეთრ სახლთან და პრეზიდენტ ბარაკ ობამასგან ციხის დახურვა მოითხოვა. მსვლელობაში ასამდე ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა ნაწილი პატიმრების ნარინჯისფერ ტანისამოსში იყო გამოწყობილი და თავზე შავი ტომრები ჰქონდათ ჩამოცმული. უფლებადამცველები ამტკიცებენ, რომ გუანტანამოს ციხე, რომელიც კუბაში მდებარეობს, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის და წამების ბუდეა და აქ პატიმრები უსამართლო სასამართლო პროცესების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების გამო იხდიან სასჯელს.

არსებული მონაცემებით, გუანტანამოს ციხეში, გახსნის დღიდან 779 პატიმარი იხდიდა სასჯელს, მსოფლიოს 28 ქვეყნიდან, მათ შორის 15 ბავშვი. დღესდღეობით ციხეში 166 პატიმარი რჩება, დანარჩენები კი სხვა დაწესებულებებში არიან გადაყვანილნი.

მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამამ ციხის დახურვის შესახებ ბრძანებას 2009 წელს მოაწერა ხელი, პირობა დღემდე არ შესრულებულა.

# სარკოზის საქმის მოსამართლეს ემუქრებიან



მოსამართლემ, რომელიც საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მიერ ფინანსური დახმარების უკანონოდ მიღებას იძიებს, 27 მარტს მუქარის წერილი მიიღო. აღნიშნულის შესახებ ფრანგული გამოცემა „ლე პარისიენი“ წერს. კონვერტში, რომელიც მოსამართლე ჟან-მიშელ ჟანტილმა მიიღო, წერილის გარდა ცარიელი ვაზნაც იყო მოთავსებული. ჯერ უცნობია ვინ დგას ამის უკან. პოლიციამ აღნიშნულის გამოძიება უკვე დაიწყო. შეგახსენებთ, რომ სარკოზის ბრალდება 21 მარტს წაუყენეს.

გამოძების ვერსიით, მან 2007 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დასაფინანსებლად კოსმეტიკურ იმპერია „ლორეალის“ მფლობელისაგან ფინანსური შემოწირულობა მიიღო. საქმე ეხება 150 000 ევროს მიღებას. საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით კი პრეზიდენტობის კანდიდატს შემოწირულობის სახით 4600 ევროზე მეტის მიღება არ შეუძლია.

სარკოზი ამ ბრალდებას უარყოფს. მისი ადვოკატი სასამართლოს ამ „უსაფუძვლო გადაწყვეტილების“ წინააღმდეგ აპელაციას შეტანას აპირებს. ცოტა ხნის წინ კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის ქრისტიან ლაგარდის სახლი გაჩხრიკეს, რომელიც ადრე საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი იყო.

# დარიო ფომ საგანგებო მიმართვა გაავრცელა

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

ლენიანი წარმომადგენლების ზეწოლით პაპმა ინოჩენტე XII ბრძანა დაენგრიათ თეატრი ტორდინონი, სადაც, მავანთა თქმით, ამორალური პიესები იყო წარმოდგენილი.

სწორედ კონტრრეფორმაციის ხანაში კარდინალმა კარლო ბორომეომ, რომელიც იტალიის ჩრდილოეთის მმართველი იყო და თავი „მილანის შვილთა“ მხსნელად მიაჩნდა, უპირობოდ გამიჯნა ხელოვნება, როგორც სულიერი აღზრდის უმაღლესი ფორმა და თეატრი, როგორც ამაოებისა და უმეცრების გამოხატულება. თანამოაზრეებისადმი მიმართულ წერილში, რომელსაც მიახლოებით ვციტირებ, კარდინალი ამბობდა: „ყველაფერი ვიღონეთ, რომ ამოგვეძირკვა ეს შხამიანი მცენარე. ცეცხლს მივეცით უხამსი ტექსტები, რათა ისინი ადამიანთა მეხსიერებიდან ამოგვეშალა, ვდევნეთ და გავაძევეთ ყველა, ვინც ამ ტექსტებს ბეჭდავდა და ავრცელებდა. მაგრამ, ვიდრე ჩვენ ვთვლემდით, სატანა სხვა, უფრო ცბიერ ხრიკებს გვიწყობდა. თვალით ნანახი ხომ გაცილებით ძლიერ ვნებს სულს, ვიდრე წიგნში ამოკითხული! რაოდენ უფრო ძლიერად ზემოქმედებს ჩვენს ახალგაზრდებზე სიტყვა, რომელიც ხმითა და შესაფერი მიხვრა-მოხვრითაა წარმოთქმული, ვიდრე მკვდრადშობილი და წიგნებში დაბეჭდილი. სწორედ ამიტომ უნდა განვდევნოთ ჩვენი ქალაქებიდან თეატრის ხალხი, განვდევნოთ ისე, როგორც ავი სულები გაგვიდევნია!“

კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ იმედად მესახება ის, რომ ჩვენსა და განსაკუთრებით კი თეატრალური ხელოვნების შესწავლის მსურველი ახალგაზრდების წინააღმდეგ მომართული კუდიანებზე ნადირობა შობს კომედიანტების ახალ თაობას, რომელიც უკიდურეს დევნაშიც კი წარმოუდგენელ გამოსავალსა და სარგებელს გამოძებნის ახალი თეატრის შესაქმნელად.“

**ეკა ირემაშვილი**

# TV პროგრამა

**პარასკევი 29 მარტი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 17.00 დ/ფ „ისტორიის შექმნა/ — ნოსტრადამუსი 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ღირსების სასამართლო (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 9 ნაწ. 14.00 დ/ფ სიცოცხლე/ 10 (დასკვნითი) ნაწ. 16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 6 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „ევროტური„ 01.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „პიანისტი„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 მოკ/ფ „ადგილის დედა„ 11.05 დოკ/ფ „რაინდები„ კარტოზია 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დიდედები და შვილიშვილები„ 13.30 კონცერტი - ლუჩანო პავაროტი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ „მაია წყნეთელი„ 18.05 დოკ/ფ „წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია„ 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ერთი ცის ქვეშ„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე თინათინ ასათიანი, შვილები ვლადიმერ, ნინო, ლევან, და ცისანა, ძმა ავთანდილი, დისშვილები, ძმისშვილები, რძლები ნათელა ცინცაძე, ჯილდა ჯუმუტია, სიძე კობა ბერიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოლიციის მაიორი

**აკაკი ვლადიმერის ძე რამიშვილი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური მწუხარებას გამოთქვამენ ზურაბ ტყემალაძის მეუღლის

**ირა გელანტია-ტყემალაძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ მის ოჯახს.



ლალი (არმაზი) დანელია, ინგუშა მშვენიერაძე, გურამ მებუკე, აგული სოხაძე, გიორგი ჯაფარიძე, ჯუმბერ რაზმაძე, გურამ ზამბახიძე, ოთარ ჩიხლაძე, ნუკრი მანჯგალაძე, მერაბ ბერაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კაცი კაცური, მეგობრების აქტიური შემკრავი, საზოგადო მოღვაწე, დოქტორი, მეცნიერი, პედაგოგი, ჟურნალისტი, დამსახურებული, საკავშირო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მშენებელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ინჟინერი

**რეზო ტყემალაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს — მეუღლეს, ქალბატონ ლილის, შვილებს გია, მანანას, დათოს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ძვირფასო ვაჟკაცო!

პანაშვიდი: 28, 29 მარტს.

დაკრძალვა: 30 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: საბურთალო, მიცკევიჩის ქუჩა №27, I სადარბაზო.

ცისანა, ნუნუკა, ლია შარტავები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მაია და ბადრი ღვინჯილიებს დედის

**ციალა კანკია-ღვინჯილიას**

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელში დააწესოს მისი სული!

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6597

ევრო — 2,1231

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5105

100 რუსული რუბლი — 5,3776

## ამინდის პროგნოზი 29 მარტისთვის




# რომის პაპი პატიმრებს ფეხს დაბანს



დღეს რომის ახალი პაპი ფრანცისკი ახალგაზრდების დაკავების ცენტრში პატიმრებს ფეხს დაბანს. აღდგომის წინა ამ ცერემონიის სანახავად რომში ათასობით პილიგრიმი და ტურისტი ჩავიდა.

ჩვეულებრივ ეს ცერემონია რომის ეკლესიაში იმართება ხოლმე. კათოლიკების აღდგომა 31 მარტს დგება-ამ დღეს რომის ახალი პაპი მის პირველ გზავნილს (გზავნილი ქალაქს(რომს) და მსოფლიოს) წარმოთქვამს.

შეგახსენებთ, რომ რომის ახალმა პაპმა დასავლეთს მოუწოდა უფრო გააღმრავოს დიალოგი ისლამურ სამყაროსთან, მსოფლიოს კი მოუწოდა რომ უფრო აქტიურად მოხდეს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა.

მოწოდებები პონტიფიკოსმა ვატიკანში აკრედიტირებულ დიპლომატებთან შეხვედრისას გააკეთა. პაპმა, რომელიც იტალიურ ენაზე საუბრობდა, აღნიშნა რომ მდიდარმა ქვეყნებმა აქტიურად უნდა იბრძოლონ სიღარიბის წინააღმდეგ.

პაპი ძალიან მოხარულია იმის გამო რომ მისი ინაუგურაციის ცერემონიას მრავალი მუსლიმი რელიგიური და სამოქალაქო პირი ესწრებოდა.

„სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სულიერი ასევე მატერიალური თვალსაზრისით, მშვიდობის მშენებლობა — ესენი, ისევე როგორც ადრე, ის უმთავრესი საკითხებია, სადაც სათანამშრომლოდ მე აქ წარმოდგენილი ყველა დიპლომატის ქვეყანა მინდა მოვიწვიო“, — აღნიშნა რომის პაპმა.

გ. მ.

# ბერეზოვსკის ოჯახი: გარდაცვლილ ბიზნესმენს ნეკნი ჰქონდა გატეხილი



ინგლისიდან ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების ახალი დეტალები ხდება ცნობილი. ოლიგარქს, რომლის გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად თავის ჩამოხრჩობა დასახელდა, როგორც აღმოჩნდა ნეკნი ჰქონდა გატეხილი. ამას მისი ოჯახის წევრები ამტკიცებენ. ალბათ, ბიზნესმენის გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებულ ყველა კითხვას პასუხს ის გამოძიება გასცემს, რომელიც დღეს იწყება.

გვამის გაკვეთის შედეგად დადგინდა, რომ ბერეზოვსკის ნეკნი ჰქონდა გატეხილი. ინფორმაციას ამის შესახებ ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“ ავრცელებს, რომელიც თავის მხრივ ბერეზოვსკის ოჯახში არსებულ წყაროს ეყრდნობა. ამასთან ერთად, სილურჯეები გვამს არ აღენიშნებოდა. ჯერ ჯერობით არ არსებობს ინფრმაცია იმის შესახებ თუ რა წამოშობის იყო ნეკნის გატეხვა.

ბერეზოვსკის დაკრძალვა ალბათ მხოლოდ ექვსი კვირის შემდეგ გაიმართება, მას შემდეგ რაც პოლიცია ყველა დადგენილ ექსპერტიზას დაასრულებს და ცხედარს ახლობლებს გადასცეს. ჯერჯერობით ასევე უცნობია ისიც თუ სად დაკრძალავენ ბერეზოვსკის. რუსეთის ხელისუფება არ გამორიცხავს, რომ ის რუსეთში დაიკრძალოს. თუმცა მისი მეგობრები აცხადებენ, რომ ბერეზოვსკი ან ლონდონში ან ისრაელის ტერიტორიაზე უნდა დაიკრძალოს.

ოლიგარქის გარდაცვალების მიზეზებს მისი აღმატებულების კორონერი პიტერ ბერფორდი იძიებს.

როგორც წესი, კორონერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვება საქმეში, თუკი ადამიანი ისეთ გაურკვეველ გარემოებებში იღუპება, რომელთა მიხედვითაც მალევე სიკვდილის მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება.

კორონერის თანამდებობის ანალოგი რუსეთში არ არის, ამიტომაც მისი სასამართლო ექსპერტად მიჩნევა სწორი არ იქნება. კორონერის პასუხისმგებლობის არეალში შედის სასამართლო ექსპერტიზა, წინასწარი გამოძიება და სასამართლოც კი. თუ კორონერი მიიჩნევს, რომ გარდაცვალებას კრიმინალური ხასიათი ჰქონდა, საქმე სისხლის სამართლის სასამართლოს გადაეცემა.

შეგახსენებთ, რომ ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია 23 მარტს საღამოს გავრცელდა.

ბიზნესმენის ოჯახი, ბერეზოვსკის შვილის სახელით, ბიზნესმენის სიკვდილთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„მამაჩემი ტიპიური მშობელი არ ყოფილა. ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, არაჩვეულებრივი იყო. მან ჩემი ცხოვრება მრავალფერად შეღება. მისთვის მთავარი იყო, რომ მის შვილებს მისით ეამაყათ“, — განაცხადა ანასტასია ბერეზოვსკაიამ.

ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოფიციალურად სასამართლო 28 მარტს გაიმართება. სამართალდამცავების ოფიციალური ვერსიით, ბიზნესმენმა თავი მოიკლა.

გ. მ.

# გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად ტელემარათონი გაიმართება




24 წლის მსახიობის გიორგი ყორღანაშვილის გადასარჩენად მთელი ქართული კულტურა გაერთიანდა. იმისთვის, რომ მას საზღვარგარეთ ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდეს და მოხდეს ძვლის ტვინის გადანერგვა, 400.000 დოლარია საჭირო. მსახიობს უკვე სჭირდება ოპერაცია, რადგან დაავადება, სამწუხაროდ, პროგრესირებს. მისი მეგობრები ყველას მოუწოდებენ დარეკონ ნომერზე 09 01 800 804 და შეეწიონ გიორგის 1 ლარით, რადგან ყველა მობილურმა კომპანიამ ამ ნომერზე ბეგარა მოხსნა და ერთი ლარი მთლიანად გიორგის ანგარიშზე ირიცხება.

გიორგი ყორღანაშვილის დასახმარებლად სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაიგეგმა და მომავალშიც იგეგმება. ერთი თვის განმავლობაში მისმა მხარდამჭერებმა და გულეშმატკივრებმა შეძლეს და 195.132 დოლარი მოაგროვეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ საჭირო თანხის ნახევარია, მისი მეგობრები, კოლეგები და გულშემატკივრები იმედს არ კარგავენ, რომ 400.000 დოლარის შეგროვებას შეძლებენ და გიორგის სიცოცხლეს გადაარჩენენ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# დარიო ფომ საგანგებო მიმართვა გაავრცელა



ცნობილმა მწერალმა დრამატურგმა კომპოზიტორმა და რეჟისორმა დარიო ფომ, რომელიც 1997 წლის ნობელის პრემიის ლაურეატია, მსოფლიო თეატრის დღესთან დაკავშირებით, საგანგებო მიმართვა გაავრცელა და ის მსოფლიო თეატრებს მიუძღვნა.

დარიო ფოს მიმართვა ფრანგულიდან ირინა ღოღობერიძემ თარგმნა და ქართული საზოგადოებისთვისაც გახადა საჯარო:

„უხსოვარი დროიდან ხელისუფლებამ კომედიანტებს დაუმორჩილებლობა დააბრალა და თავ-თავიანთი ქვეყნებიდან გააძევა.

დღეს, დასია თუ მსახიობი — ყველა რაღაც მოედნის, თეატრისა თუ მაყურებლის ძიებაშია და ამას კრიზისს ვაბრალებთ. ამგვარად, ხელისუფლება მშვიდად არის და აღარ აკონტროლებს მათ, ვინც თავიანთ აზრს ირონიითა და სარკაზმით გამოთქვამენ.

სულ სხვა იყო იტალიაში, აღორძინების პერიოდში. მმართველებს უჭირდათ კომედიანტების მოთოკვა, რადგან მათ დიდძალი მაყურებელი ჰყავდათ.

ყველამ იცის, რომ მსახიობთა დიდი გაძევება კონტრრეფორმაციის ხანას უკავშირდება. თეატრების დახურვის ბრძანება სწორედ იმ დროს გამოიცა და, უპირველეს ყოვლისა, წმინდა ქალაქის, რომის თეატრებს შეეხო. 1697 წელს მოქალაქეთა უკიდურესად კონსერვატიული ნაწილისა და სამღვდელოების გავ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! შემოქმედებითი დღეა

## ასტროპროგნოზი 29 მარტისთვის

**ვერძი** — თავს საუკეთესოდ წარმოაჩენთ. მთლიანობაში წარმატებული დღეა. **კურო** — ყურადღების ცენტრში ხართ, ყველა თქვენ შემოგნატრით. **ტყუპები** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალ სამსახურს მოიწონებთ, ფულიც გექნებათ. **ქალწული** — არ გარისკოთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ფულიც გექნებათ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც მოდის და კარგი ამბავიც მოაქვს. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერს ახერხებთ. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფრჩხილებში ჩასმული ავტორისეული შენიშვნა ტექსტში; 2. ორსართულიანი სამგზავრო ავტობუსი ინგლისში; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 5. იტალიის არმიის ელიტარული ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 13. გამდნარი ლითონების მიერ აირების შთანთქმის პროცესი; 16. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 23. დიდი საწნახელი.

**თარაზულად**: 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ფრანგული წვნიანი კერძი, გარეული ფრინველისგან მომზადებული ბულიონი; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. იტალიური ოპერის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 15. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სააღდგომო ნამცხვარი; 20. ღვარად წამოსული დიდი თოვლი; 22. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 24. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 25. ზომიერი, აუჩქარებელი მუსიკალური ტემპი; 26. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# წილი იყარა, იბერიას ნახევარფინალში რუსული დინამო ერგო



ფუტსალის თასის ოთხთა ფინალის წილისყრა სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა, რომელსაც უეფას მედია-ოფიცერი მამუკა კვარაცხელია უძღვებოდა. ცერემონიალში უეფას ფუტსალის კომიტეტის ხელმძღვანელი, ოფიციალური პირები და ოთხთა ფინალის კეთილი ნების ელჩები შოთა და არჩილ არველაძეები მონაწილეობდნენ.

წილისყრის შედეგად თამაშების მასპინძელი თბილისის „იბერია სტარი“ ნახევარფინალში მოსკოვის „დინამოს“ დაუპირისპირდება, ოთხთა ფინალის 2007 წლის გამარჯვებულს, თასის ამჟამინდელი მფლობელი ესპანეთის „ბარსელონას“ მეტოქე კი ალმატის „ქაირათი“ იქნება. ნახევარფინალები 26 აპრილს გაიმართება, ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩი კი 28 აპრილს.

პრესკონფერენციაზე ოთხივე გუნდის წარმომადგენელმა ისაუბრა.

**ადილ შარიპკულოვი (კაირათი):**

— ჩვენ გვერგო „ბარსელონა“, არადა, „იბერია სტარის“ პრეზიდენტს სურდა, რომ „ბარსელონა“ მათ შეხვედროდა. „ბარსა“ თასის მოქმედი მფლობელია და ძალიან ძლიერი კლუბია. საერთოდ, ყველაზე ღირსეული ოთხეული წლეულს შეიკრიბა. ჩვენც მუდმივად ოთხეულში ვართ, „დინამო“ შარშან ფინალში იყო. ვფიქრობ, „იბერია სტარი“ იმსახურებდა ფინალური ოთხეულის მატჩების მასპინძლობას. ეს ერთადერთი კლუბია ოთხეულში, რომელმაც ყველა გასავლელი ეტაპი გაიარა. რაც შეეხება „კაირათს“, კარგად მოვემზადეთ და ამ პერიოდსაც ნაყოფიერად გამოვიყენებთ. მწვრთნელი შეგვეცვალა, ბარბოსა რუსეთში წავიდა და 5-6 დღეში ახალი მოვიწვიეთ.

**კლაუდია ლაუსენი (ბარსელონა):**

— ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ტიტული შევინარჩუნოთ. კარგ ფორმაშია გუნდი. ისევე, როგორც სხვა სახეობებში, „ბარსელონა“ ფუტსალშიც უმაღლეს მიზნებს ისახავს.

**გალინა დანილკინა (დინამო):**

— კარგია, რომ ქართულ გუნდს შევხვდებით და საქართველოში ვითამაშებთ. ვიცი, ბევრი ფიქრობს, აი, რუსეთის გუნდი ხვდება ქართულს და როგორ იქნება საქმე... პირიქით, კარგია და მივესალმები. სპორტი ერთადერთია, რომელშიც ქართველები და რუსები ერთმანეთს უნდა „ვეომოთ“. ჩვენ არაფერი გვაქვს გასაყოფი. მადლობა უეფას, რომ ფინალური ოთხეულის მასპინძლობა თბილისს არგუნა.

**ვახტანგ წერეთელი (იბერია სტარის პრეზიდენტი):**

— მადლობა ყურადღებისთვის. მადლობას ვუხდი ზვიად სიჭინავას იმისთვის, რომ ბევრი გააკეთა, რათა ასეთი დიდი თამაშების მასპინძლობა გვრგებოდა. დიდი პლუსია, რომ სპორტის სასახლეში 10.000 გულშემატკივრის თვალწინ ჩატარდება თამაშები. შემადგენლობას რაც შეეხება, კარგა ხანია, ჩამოყალიბებულია.

მ. ჟ.